ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge



გვ.7

საფრანგეთში კრიმინალურ დაჯგუფებასთან ერთად რეპერი კაბუ დააკავეს

19 აპრილიდან 120 ამბავი ალექსანდრე მაკედონელი

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი




ხუთშაბათი, 19 აპრილი, 2018 №91 (7636) ფასი: 50 თეთრი

# დღეს „ქართულ ოცნებაში“ დიდი გარჩევა და გაწევ-გამოწევა იქნება



გვ.2

დავით ჭიჭინაძე, ნუკრი ქანთარია, ეკა ბესელია და გედი ფოფხაძე არ არიან მხოლოდ ე.წ. „ახლებთან“ დაპირისპირებულთა გუნდში. უმრავლესობაში გაცილებით მეტი ადამიანია, ვინც ამ დაპირისპირებაში კვირიკაშვილის მხარდამჭერები არიან. კახი კალაძის მეგობრები, ბოკერიას დაფრთიანებული ოცნებელები – მდინარაძე, კობახიძე და ჩუგოშვილი დღეს შეეცდებიან, რომ სერიოზულ პროვოკაციაზე წავიდნენ. მათ ეს აწყობთ. ამ ადამიანებს სიტუაციის დალაგება არ უნდათ.

## ვახტანგ გომელაური: „რუსეთის ფედერაცია სოხუმსა და ცხინვალში ეტაპობრივ ანექსიას ახორციელებს“




გვ.4

## „მირზა სუბელიანი პროკურატურას ვანო მერაბიშვილის ციხიდან გაყვანის კადრებით აშანტაჟებს“

გვ.3



ზვიად კუპრავა: „ბორის კაკუბავამ დამირეკა და დანაბარები გადმომცა – მშვიდობა შევინარჩუნოთო“

## შალვა შავგულიძე: „ოპოზიცია მარგველაშვილის ირგვლივ უნდა გაერთიანდეს“

გვ.3



## სამართალი

გვ.7



ივანიშვილის ხეზე ასვლის ფასი – მოსამართლემ ენმ-ს წევრები 250-250 ლარით დააჯარიმა



მექა ხანგოშვილი: „პანკისის ხეობა ერთსულოვნად მოვითხოვთ, რომ მოხდეს თემირლან მაჩალიკაშვილის უდანაშაულოდ აღიარება“

გვ.2



ცნობილი ქართველი ე.წ. კანონიერი ქურდი ლაშა შუშანაშვილი დააკავეს

გვ.7

## ეკონომიკა

გვ.6

მამუკა ბახტაძე: „მოვუწოდებ ფინანსურ ინსტიტუტებს, გამოვიჩინოთ მაღალი პასუხისმგებლობა“



ირაკლი ასლანიშვილი: „სასტარტო კაპიტალზე წვდომა გართულებულია“






ქვეყანაში დაუმუშავებელი მიწის ფართობი იზრდება

ISSN 1987-9385

5 აშშ სირიაში არაბულ კონტინგენტს ათავსებს?

7 ნუგზარ წიკლაური კორცხელის ინციდენტთან დაკავშირებით ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში დაიკითხა

5 ნანა კაკაბაძე: „პრეზიდენტი აზრზე არ არის, რაზე ლაპარაკობს და რას ლაპარაკობს“

7 „კიდევ ერთი გადაწყვეტილება გვექნება საქართველოს წინააღმდეგ“

# დღეს „ქართულ ოცნებაში“ დიდი გარჩევა და გაწევ-გამოწევა იქნება

შორენა მარსაგიშვილი

დღეს დიდი დღეა – დახურულ შეხვედრაზე „ქართული ოცნება“ დიდ გარჩევას გეგმავს. ახლები და ძველები იმის გარკვევას შეეცდებიან, ვინ არის გუნდში მთავარი. ამის გადაწყვეტა ერთ ადამიანს ერთი სიტყვით შეუძლია, მაგრამ ბიძინა ივანიშვილი მეოცნებეთა ელ კლასიკოს შორიდან მიადევნებს თვალს.

ელ კლასიკომდე ერთი დღით ადრე მეოცნებეები ერთმანეთს ფიზიკურადაც დაუპირისპირდნენ. ერთმანეთს ხელით დავით მათიკაშვილი და ირაკლი აბუსერიძე შეეხნენ.

ცემა-ტყეპის ფაქტს კატეგორიულად უარყოფს „ქართული ოცნება“. ირაკლი აბუსერიძე, რომელიც ყოფილი მორაგბეა და მისი მუშტი ჩვენს მტერს მოხვდა, ამბობს, რომ მათიკაშვილს რაგბიზე ესაუბრებოდა.

ფანტაზიის გასაოცარი უნარი გამოამჟღავნა ნუკრი ქანთარიამ. მისი მტკიცებით, მათიკაშვილმა და აბუსერიძემ იმაზე იკამათეს, მესი უფრო მაგარია თუ რონალდუ.

– არავითარ ჩხუბსა და დაპირისპირებას ადგილი არ ჰქონია. იყო რაღაც კამათი და სიმართლე გითხრათ, არც ვიცი, რის თაობაზე – შეიძლება სპორტზე, შეიძლება სხვა რამეზე, შეიძლება მესი ჯობია თუ რონალდუ – აი, ამ თემაზე. ხომ იცი, გულშემატკივრებმა ხმამაღლა იციან ლაპარაკი და ამ დროს მიადგნენ ჟურნალისტები, – განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ ნუკრი ქანთარიამ.

საქმე ცემა-ტყეპამდე დღეს, 19 აპრილს, დაგეგმილი უმრავლესობის სხდომაზეც შეიძლება მივიდეს. რამდენიმე დეპუტატმა ეს შეხვედრა რუისურბნისის კრებას შეადარა. დეპუტატი ნუკრი ქანთარია ასე ოპტიმისტურად არ არის განწყობილი. მიაჩნია, რომ „ოცნებას“ რუის-ურბნისის კრებამდე დავით აღმაშენებელი აშორებს.

– რუის-ურბნისის კრება? და ვინ იქნება აღმაშენებელი – სამწუხაროდ, არ გვყავს, – ამბობს გულდაწყვეტილი ნუკრი ქანთარია.

„ოცნებას“, მართალია, არც აღმაშენებელი არ ჰყავს და არც ჭყონდიდელი, მაგრამ ჰყავს ბიძინა. ეკა ბესელია იმედს არ კარგავს, რომ არსებულ დაპირისპირებას სწორედ ის დაალაგებს.

– შეიძლება პარტიაში დაგროვდა სათქმელი და დისკუსიის აუცილებლობა დადგა. ან შეიძლება გარკვეული სიახლეების დრო დადგა, მაგრამ არსებობს შიდა სამუშაოს ფორმატი. არ მგონია, ასეთი თემები საჯარო დისკუსიის სფერო იყოს და სათქმელით დავღალოთ საზოგადოება. მე არ მგონია, რომ რამე სერიოზული კრიზისი იყოს პარტიაში, მაგრამ საუბარს იმაზე, რომ ივანიშვილის ჩართვის აუცილებლობა დგას, არ გამოვრიცხავ.

მიმაჩნია, რომ მას შეუძლია ნებისმიერ სიტუაციაში სასურველი მიმართულებით პროცესების წარმართვა. მე არ მგონია, რომ კრიზისის პროცესში ვართ, შეიძლება გამოუცდელობის გამო ხდება ის, რაც ხდება, მაგრამ არ მგონია, რომ რთული მოცემულობა გვაქვს. უბრალოდ ვამბობ, რომ ივანიშვილს შეუძლია დადებითი როლის შესრულება და იქნება ძალიან კარგი, თუ ჩაერთვება პროცესში, – აცხადებს ტვ პირველთან საუბარში ეკა ბესელია.

საბრძოლოდ არის განწყობილი დეპუტატი დავით ჭიჭინაძე, რომელიც ძველების დაჯგუფებას წარმოადგენს. ის არც პარლამენტის თავმჯდომარის გადაყენებას გამორიცხავს.

მას არ მოსწონს პარტიული ქცევის კოდექსის შემუშავების იდეა. ამბობს, რომ

უმრავლესობის სხდომაზე თუ



პარტიის შიდა დისციპლინასთან დაკავშირებულ პირობას წამოაყენებენ, მოლაპარაკებები ვერ შედგება. სპიკერატს დეპუტატი კოლექტიურ ზარდიაშვილად მოიხსენიებს.

– მათ ხელმძღვანელობას ბრჭყალებში დავარქმევ, რადგან პარლამენტს ხელმძღვანელობა არ ჰყავს. ისინი ჩვენ მიერ დელეგირებული უფლებებით სარგებლობენ და ჩვენი უფროსები ვერ იქნებიან. თქვეს, დისციპლინა ვიღაცებმა დაარღვიეს და სანქციები იქნებაო.

ისინი თვლიან, რომ ვიღაც წესრიგს არღვევს და ვიღაცის მიმართ სანქციები იქნება გათვალისწინებული. თუ ეს პირობა იქნება, პირობას გაძლევთ, რომ ჩვენი მოლაპარაკება ვერ შედგება. თუ კოლექტიური ზარდიაშვილები ვერ გაიგებენ, რას ვითხოვთ, ისინი პარლამენტს უნდა ჩამოვაცილოთ.

ჩემი ეს განცხადება სპონტანური არ არის, ეს ამ ადამიანების თავზეგასულობამ გამაკეთებინა და ამას აღარ გადავალ. ჩემთვის ესენი კოლექტიური ზარდიაშვილები იქნებიან. მათ დეპუტატობას კი არ ვართმევთ, გავიდნენ და მმართველობას ავიღებთ ისინი, ვინც სახეები ვიყავით. ის ხალხი, ვინც 2012 წელს „ქართული ოცნებიდან“ დავდიოდით მოსახლეობასთან და პირობას ვდებდით, რომ ქვეყანა წარმატებული იქნებოდა, ამ ინიციატივას ისევ ავიღებთ. ეს ადამიანები ამ ვალდებულებას ვერ ასრულებენ და ჩემი იდეა იქნება, ჩვენი უფლებები დავიბრუნოთ. არა მგონია, ადამიანებს ჩრდილში ყოფნა უნდოდეთ, – განაცხადა ჭიჭინაძემ.

პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძის განმარტებით, შეხვედრაზე დაგეგმილია მიმდინარე საკითხების განხილვა.

– მათ შორის, ვიმსჯელებთ იმ პროცესებზე, რაც ამჟამად უმრავლესობის შიგნით მიმდინარეობს, – ამბობს სპიკერი.

ახლებსა და ძველებს შორის დაპირისპირებას გიგა ბოკერიას ფაქტორიც ამწვავებს. როგორც „ოცნების“ კულუარებში ამბობენ, კალაძე-კობახიძის ფრთა მჭიდროდ თანამშრომლობს „ევროპულ საქართველოსთან“.

პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე სკანდალურ ინფორმაციას ავრცელებს. მისი თქმით, რამდენიმე კვირის წინ „ევროპული საქართველოს“ ლიდერებს თვით ბიძინა ივანიშვილი შეხვდა.

ნასპიკერალის ინფორმაციით, გიგა ბოკერია, გიგი უგულავა და ბიძინა ივანიშვილი საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოში ნინია კაკაბაძის კანდიდატურის დამტკიცებაზე შეთანხმდნენ.

ნინო ბურჯანაძე აცხადებს, რომ ის პირველი იყო, ვინც „ოცნების“ და „ევროპული საქართველოს“ ფარულ ალიანსსა და კოალიციაზე საუბრობდა, რაც დღეს უფრო ცხადი გახდა.

– ვიდრე საზოგადოებრივ მაუწყებელში ნინია კაკაბაძეს დაამტკიცებდნენ, ერთი კვირით ადრე მე ამის შესახებ ვიცოდი, რადგან გიგა ბოკერია, გიგი უგულავა და ბიძინა ივანიშვილი ერთმანეთს შეხვდნენ და შეთანხმდნენ, რომ ნინია კაკაბაძის კანდიდატურა ხელმეორედ უნდა დამდგარიყო და დაემტკიცებინათ. ასეთი გარიგებები ივანიშვილსა და ბოკერიას შორის ბევრია და უფრო მეტი იქნება, რაც მმართველ გუნდში ღია დაპირისპირებას უფრო თვალსაჩინოს გახდის, – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

მისივე თქმით, მმართველ გუნდში გასაგები და მოსალოდნელი პროცესები მიმდინარეობს.

– „ოცნებაშიც“ არიან ადამიანები, რომლებსაც ელემენტარული თავმოყვარეობა აქვთ. მართალია, მათ ესმით, რომ ბიძინა ივანიშვილის წყალობით მოხვდნენ პარლამენტში, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ისინი ბიძინა ივანიშვილის აბსოლუტურ მონებად გა-



დაიქცევიან. მით უფრო მაშინ, როდესაც პროცესები არასწორი მიმართულებით მიდის. გედი ფოფხაძემ, ნუკრი ქანთარიამ, დავით ჭიჭინაძემ მეტ-ნაკლებად გამოავლინეს თავმოყვარეობა, – აღნიშნა დემოკრატიული მოძრაობის ლიდერმა.

„ქართული ოცნება“ საქმის გასარჩევად ქუთაისის პარლამენტში შეიკრიბება. შეხვედრა დახურულ ფორმატში 21.00 საათზე დაიწყება.

„ოცნებასთან“ დაახლოებული წყარო „2020 ნიუსთან“ საუბარში ამბობს, რომ შეხვედრაზე სერიოზული დაპირისპირებაა დაგეგმილი. მისი თქმით, ახლებმა, შესაძლოა, პროვოკაციაც მოაწყონ.

– დავით ჭიჭინაძე, ნუკრი ქანთარია, ეკა ბესელია და გედი ფოფხაძე არ არიან მხოლოდ ე.წ. „ახლებთან“ დაპირისპირებულთა გუნდში. უმრავლესობაში გაცილებით მეტი ადამიანია, ვინც ამ დაპირისპირებაში კვირიკაშვილის მხარდამჭერები არიან. კახი კალაძის მეგობრები, ბოკერიას დაფრთიანებული ოცნებელები – მდინარაძე, კობახიძე და ჩუგოშვილი 19 აპრილს შეეცდებიან, რომ სერიოზულ პროვოკაციაზე წავიდნენ. მათ ეს აწყობთ. ამ ადამიანებს სიტუაციის დალაგება არ უნდათ.

დააკვირდით, ირაკლი კობახიძე მუდმივად ილანძღება, ჩუგოშვილი ვიღაცას მატყუარას ეძახის, მდინარაძე რასაც აკეთებს, ეგ კიდევ ყველასთვის ნათელია უკვე. საქმე ისაა, რომ ორივე მხარეს ბიძინა ივანიშვილის იმედი აქვს. ორივე მხარეს ჰგონია, რომ ბიძინა ივანიშვილი მათ უჭერს მხარს. ამიტომ, ჯერჯერობით, არც ერთი მხარე არ ეხება ბიძინას. როგორც კი გაირკვევა, საბოლოოდ ვის მხარეზე დადგება გუნდის რეალური მმართველი, ლანძღვა-გინება მერე ნახეთ, – ამბობს „2020 ნიუსთან“ ხელისუფლებასთან დაახლოებული წყარო.

ამ დღეებში მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ გასულ კვირას გედი ფოფხაძე, ზაზა პაპუაშვილი და ნუკრი ქანთარია ივანიშვილს შეხვდნენ. „ოცნების“ კულუარებში ამ დეტალებზე არ საუბრობენ, მაგრამ აშკარაა, რომ ძველები იმედიანად არიან განწყობილი.

„2020 ნიუსის“ წყარო ვარაუდობს, რომ თუ ყოფილი პრემიერი ახლებს დაუჭერს მხარს, ის დაუმორჩილებლობას მიიღებს.



– მე ზუსტად ვიცი, რომ არც ქანთარია და არც ჭიჭინაძე არ მოერიდებიან ივანიშვილის კრიტიკას. პირად საუბრებში ისედაც აკრიტიკებენ ივანიშვილს და იმუქრებიან კიდეც, რომ ივანიშვილი დაუმორჩილებლობას მიიღებს. სხვათა შორის, არა მარტო ისინი, სხვებიც, – ამბობს „ოცნებასთან“ დაახლოებული წყარო.

❖ ❖ ❖

ამ შეხვედრაზე, შესაძლოა, „ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატის ბედიც გადაწყდეს. მმართველ გუნდში დაპირისპირება სწორედ ამ საკითხზე დაწყებულმა უთანხმოებამ გაამწვავა.

„ახალი თაობა“ უკვე წერდა იმის შესახებ, რომ პრეზიდენტობის სურვილი კახა კალაძეს გაუჩნდა. „ოცნებასთან“ დაახლოებული წყარო ჩვენთან საუბარში ამბობდა, რომ თბილისის მერი ამაზე ბიძინა ივანიშვილს ესაუბრა.

ივანიშვილმა კალაძეს გადაჭრით არაფერი უპასუხა და პრემიერთან ურჩია საქმის მოგვარება. „ოცნება“ პრეზიდენტობის კანდიდატის პოსტზე გიორგი კვირიკაშვილსაც განიხილავს.

კალაძემ კვირიკაშვილთან მოსალაპარაკებლად ირაკლი კობახიძე გააგზავნა. მოლაპარაკების მაგივრად პარლამენტის თავკაცმა და მთავრობის მეთაურმა სერიოზულად იჩხუბეს.

„ოცნებამ“ ეს ფაქტი უარყო, თუმცა, რამდენიმე დღეში რუსთავი 2-მა კობახიძე-კვირიკაშვილის მიმოწერა გაასაჯაროვა, სადაც აშკარად ჩანს, რომ მხარეები დაპირისპირებული არიან.

## მექა ხანგოშვილი: „პანკისის ხეობა ერთსულოვნად მოვითხოვთ, რომ მოხდეს თემირლან მაჩალიკაშვილის უდანაშაულოდ აღიარება“

– პანკისის ხეობა ერთსულოვნად მოვითხოვთ, რომ მოხდეს თემირლან მაჩალიკაშვილის უდანაშაულოდ აღიარება და მისი გამიჯვნა ტერორიზმისგან. ჩვენ ძალიან გვინდა, რომ სახელმწიფომ ცალსახად გამიჯნოს ტერორიზმისგან პანკისის ხეობის მცხოვრებლები და ასე ვთქვათ, ტერორიზმში დადანაშაულებული ადამიანები, ეს არის ჩვენი მოთხოვნა, – ამის შესახებ პანკისის ხეობის წარმომადგენელმა მექა ხანგოშვილმა ჟურნალისტებს სასტუმრო „რედისონში“ განუცხადა, სადაც EMC-ის მიერ ორგანიზებული სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობს.

მექა ხანგოშვილის განმარტებით, სამწუხაროა, რომ თემირლან მაჩალიკაშვილის საქმესთან დაკავშირებით, გამოძიებამ ჯერჯერობით, ვერანაირი შედეგი ვერ დადო.

– ის, რასაც ჩვენ, ხეობა ერთსულოვნად მოვითხოვთ, არის ის, რომ მოხდეს, ამ შემთხვევაში, თემირლან მაჩალიკაშვილის უდანაშაულოდ აღიარება და მისი გამიჯვნა ტერორიზმისგან, რაც ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. როგორც მამამისი საუბრობდა, მისთვის დღეს ორი რამ არის ძალიან



მნიშვნელოვანი: რა თქმა უნდა, შვილის სიკვდილი, მაგრამ მისი დადანაშაულება ტერორიზმში, ასევე არანაკლებ დიდი ტრაგედიაა ამ ოჯახისთვის. ჩვენ ძალიან გვინდა, რომ სახელმწიფომ ცალსახად გამიჯნოს პანკისის ხეობის მცხოვრებლები და ასე ვთქვათ, ტერორიზმში დადანაშაულებული ადამიანები ტერორიზმისგან. ეს არის ჩვენი მოთხოვნა. ასევე თავიანთი გამამართლებელი შედეგი კი არ დადონ, არამედ დადონ რეალური შედეგი, ის რაც, ნამდვილად მოხდა, – განაცხადა ხანგოშვილმა.

მისივე მოსაზრებით, მნიშვნელოვანია ხელისუფლებამ პანკისისის ხეობასთან იქონიოს კომუნიკაცია.

– როდესაც ასეთი დიდი ტრაგედია დატრიალდა და კითხვები უჩნდება არა მხოლოდ ხეობის მოსახლეობას, არამედ სრულიად საქართველოს, ცხადია, მისაღები იქნებოდა თუ ხელისუფლებას მეტი კომუნიკაცია ექნებოდა ხეობის მოსახლეობასთან და განსაკუთრებით დაზარალებულების ოჯახებთან. კომუნიკაციაში ჩვენ ვგულისხმობთ იმას, რომ აუხსნან მშობლებს, თუ რა მოხდა სინამდვილეში, რატომ და რისთვის მოხდა მათი შვილების არამხოლოდ დაპატიმრება, უარეს შემთხვევაში, ლიკვიდაცია. რაც დიდ კითხვის ნიშნებს და ეჭვებს ბადებს ჩვენში, – განაცხადა ხანგოშვილმა.

სასტუმრო რედისონში „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“ სამუშაო შეხვედრას მართავს თემაზე: „პანკისში ჩატარებული სპეცოპერაციის სოციალური და ემოციური გავლენები ადგილობრივ ქისტ თემზე“. აღნიშნულ შეხვედრას თემირლან მაჩალიკაშვილის მამა, მალხაზ მაჩალიკაშვილი, პანკისი ხეობის წარმომადგენლები და უხუცესთა საბჭოს წევრები ესწრებიან.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „მირზა სუბელიანი პროკურატურას ვანო მერაბიშვილის ციხიდან გაყვანის კადრებით აშანტაჟებს“

## ზვიად კუპრავა: „ბორის კაკუბავამ დამირეკა და დანაბარები გადმომცა — მშვიდობა შევინარჩუნოთო“

შორენა მარსაგიშვილი

გასული წლის 1 დეკემბერს ხორავას ქუჩაზე მომხდარი ტრაგედია კიდევ ბევრ საიდუმლოს ინახავს. ამ საქმეზე არაერთი სკანდალი აგორდა და წინ კიდევ ბევრი სკანდალი გველოდება. სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელმა ზვიად კუპრავამ ამ საქმეზე არაერთი მნიშვნელოვანი ფაქტი გაასაჯაროვა.

ამან საგამოძიებო უწყება ისე შეაწუხა, რომ მას გაუთქმელობის ხელწერილზე მოაწერინეს ხელი. ამის მიუხედავად, კუპრავასგან მოსვენება მაინც არ ეღირსათ.

ის ხშირად ამბობდა, რომ პროკურატურას ვიღაც სკანდალური ფაქტების გასაჯაროებით აშანტაჟებდა. ამ დღეებში მან ამ ადამიანის ვინაობაც დაასახელა. სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელის თქმით, საგამოძიებო უწყებას მირზა სუბელიანი აშანტაჟებს.

კონფლიქტი, რომელიც ხორავას ქუჩაზე 2 მოზარდის მკვლელობით დასრულდა, სწორედ მირზა სუბელიანის შვილის გამო დაიწყო. ამ გარჩევაში მისი დეიდაშვილიც მონაწილეობდა.

ზვიად კუპრავა ამბობს, რომ სუბელიანი პროკურატურას ციხიდან ვანო მერაბიშვილის კადრების გასაჯაროებით ემუქრება. აღსანიშნავია, რომ როცა ყოფილი შს მინისტრი საპატიმროდან გაიყვანეს, სუბელიანი სასჯელაღსრულების სისტემაში მუშაობდა.

კადრებით შანტაჟის შესახებ კუპრავას გავრცელებულ განცხადებას სუბელიანის მხრიდან მძაფრი რეაქცია მოჰყვა.

— ზვიად კუპრავამ შეიძლება თქვას, რომ მე იესო ჯვარს ვაცვი, მაგრამ თქვენ უნდა დამირეკოთ და მკითხოთ, მე ლურსმნები მქონდა თუ არა?! — უთხრა მირზა სუბელიანმა ჟურნალისტებს.

სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელი „ახალ თაობასთან“ საუბარში ამბობს, რომ ცოტა ხნის წინ მას სუბელიანის სიმამრი, ბორის კაკუბავა, დაუკავშირდა და სიძის დანაბარები გადასცა — მშვიდობა შევინარჩუნოთო.

რა იგულისხმებოდა მშვიდობის შენარჩუნებაში, რა ფირები უნდა გადაეცა მისთვის სუბელიანს, ვისზე და რა კომპრომატების ძებნა დაიწყო პროკურატურამ? ამის შესახებ ზვიად კუპრავა გვესაუბრება.

**ზვიად კუპრავა:**

— მინდა თქვენმა მკითხველმა იცოდეს, რომ სუბელიანების მხარესთან კომუნიკაცია ჩემი ინიციატივით არ შემდგარა. ადვოკატი მალხაზ პატარაია არის ჩემი მეგობარი და ახლობელი. ცოტა ხნის წინ მან დამირეკა და მითხრა, რომ ბორის კაკუბავა ჩემს ნომერს სთხოვდა. მკითხა, მივცე თუ არა შენი ნომერიო, ვუთხარი, რომ არანაირი პრობლემა არ იქნებოდა, თუ ჩემს ნომერს მისცემდა.

ჩვენი სატელეფონო საუბარი დაახლოებით 19.00 საათზე შედგა. რამდენიმე საათში, 23.00 საათზე, მირეკავს უცხო ნომერი. ვუპასუხე და იქეთა მხრიდან მითხრეს, გამარჯობა, მე ვარ ბორის კაკუბავაო. ჩვენ შორის პირველი კომუნიკაცია შედგა ასე.

***— როდის შედგა თქვენ შორის პირველი საუბარი?***

— პირველი კომუნიკაცია ორი კვირის წინ შედგა. ამის შემდეგ ჩვენ დაახლოებით ხუთჯერ გვქონდა კომუნიკაცია.

***— ტელეფონით საუბრობდით?***

— ჩემს ნომერზე მირეკავდა და ვოთსაპის მეშვეობით ვლაპარაკობდით. ბორისს არ დავუმალე და პირველივე საუბარში ვუთხარი, რომ ვიცოდი, რა კადრებიც ჰქონდა მის სიძეს. საუბარია ვანო მერაბიშვილის ციხიდან გაყვანის კადრებზე.

კაკუბავას პირით მირზა სუბელიანს შევუთვალე, რომ ეს კადრები ჩემთვის გადმოეცა. ჩვენი საუბარი საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა. ბორისმა მითხრა, ახლა გვიანია, ხვალ ვნახავ ჩემს სიძეს და შენს დანაბარებს ვეტყვიო.

მეორე დღეს დამირეკა ბორისმა და მითხრა, რომ მირზას ჩვენი საუბრის შესახებ მოუყვა. მისი დანაბარებიც გადმომცა, მირზა თავად დამიკავშირდებოდა და შემხვდებოდა. ვუთხარი, დაველოდები, პრობლემა არ არის.

მირზა არ შემხმიანებია, რამდენიმე დღის შემდეგ ისევ მისმა სიმამრმა დამირეკა. მითხრა, ჩემი სიძე ფრთხილი კაცია და სიფრთხილის გამო ის არ შეგხვდება, მაგრამ მისი ნდობით აღჭურვილი პირი მოვა შენთანო.

***— ვინ იყო მირზას ნდობით აღჭურვილი პირი?***

— მხოლოდ ის მითხრა, რომ ეს ადამიანი იმდენად სანდოა, ჩათვალე, რომ მირზას ელაპარაკებიო. ამაზეც დავთანხმდი. ბორის კაკუბავასთან ძირითადად ამ თემაზე მქონდა საუბარი.

***— თავად მირზა სუბელიანთან არ გილაპარაკიათ?***

— პირადად მასთან არ მილაპარაკია. მისი სიმამრის პირით მითვლიდა რაღაცებს და მეც მისი პირით ვუზიარებდი ჩემს სათქმელს. ბორის კაკუბავას პირით მთხოვა, მშვიდობა შეგვენარჩუნებინა.

ამ დღეებში მან მედიასთან გააკეთა კომენტარი და ამან ძალიან გამაკვირვა. მირზა სუბელიანი, ეტყობა, გულუბრყვილოდ მთვლის და ჰგონია, რაც ჩვენ ვისაუბრეთ, კოსმოსში წავიდა და არ არსებობს. ასე თუ ფიქრობს, სხვა ყველაფერთან ერთად ის არაკომპეტენტურიც ყოფილა. სხვა თუ არაფერი, ძალოვანი უწყების თანამშრომელი იყო წლების მანძილზე და რაღაცების უარყოფას, იმედია, არ დაიწყებს. ბუნებაში რომ არაფერი არ იკარგება, ეს მირზამ ჩემზე კარგად უნდა იცოდეს.



სატელეფონო საუბარში კაკუბავასთან იმაზე მიდიოდა საუბარი, მომცემდნენ თუ არა იმ ჩანაწერებს. იმაზეც ვსაუბრობდით, რა ფორმით მოხდებოდა გადმოცემა. აინტერესებდათ, რა ბედი ეწეოდა ამ კადრებს ჩემს ხელში. ძალიან ღრმა დეტალებზე მიდიოდა საუბარი. არც ერთი საუბრისას იმის უარყოფა არ მომხდარა, რომ ასეთი კადრები მათ ჰქონდათ.

***— რატომ დათანხმდნენ ამ ჩანაწერების გადმოცემას? რამის სანაცვლოდ აპირებდნენ ამის გაკეთებას?***

— მე მათთვის არანაირი პირობა და ულტიმატუმი არ წამიყენებია. მხოლოდ ის ვუთხარი, რომ ვიცოდი, მირზა სუბელიანს ეს კადრები რომ ჰქონდა. ჩემთვის ისიც იყო ცნობილი, რომ ის ამ კადრების გასაჯაროებას აპირებდა. მან პროკურატურას პირდაპირ უთხრა, რომ თუ ისინი იმ ხალხს შეეხებოდნენ, ვისი შეხებაც მირზას არ აწყობდა, ამ კადრებს გაასაჯაროვებდა.

არ დავუმალავ თქვენს მკითხველს, რომ სუბელიანს პირდაპირ შევთავაზე, რომ მე, როგორც გამტარი, ისე გამოვეყენებინე. მან შეიძლება ყველაფერი უარყოს, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნე, ბუნებაში უკვალოდ არაფერი იკარგება. რა შუაში იყო მირზასთან იესოს ჯვარზე გაკვრა, არც ეს მესმის.

***— პროკურატურაშია ნამუშევარი და შეიძლება პილატეს კომპლექსი ტანჯავს.***

— ეგ არ ვიცი, რა ტანჯავს, მაგრამ იმაში დარწმუნებული ვარ, რომ ეს კადრები, დღეს თუ არა ხვალ, დღის სინათლეს ნახავს.

ამ კადრების გასაჯაროება ძალიან მნიშვნელოვანია პროკურატურისთვის. ეს ყველაფერი თუ გამოაშკარავდება, საგამოძიებო უწყება სუბელიანის შანტაჟისგან გათავისუფლდება. უწყება დღეს მხოლოდ იმიტომ ექვემდებარება შანტაჟს, რომ ფირები გარეთ არ არის.

***— თავად მირზა სუბელიანს რაში აწყობდა ამ ფირების საჯაროზე გამოსვლა? თავად ამბობთ, რომ ის ამით აშანტაჟებს საგამოძიებო უწყებას.***

— რაში აწყობს და რამდენადაც მე ვიცი, პროკურატურა მირზა სუბელიანზე ეძებს კომპრომატებს. სხვათა შორის, მასზე კომპრომატებს „იმედში“ ეძებენ. აქ ყველაფერი ნათელია — საგამოძიებო უწყება მირზა სუბელიანის გარშემო რკალს ავიწროვებს.

პროკურატურას და ზოგადად დღევანდელ ხელისუფლებას ასეთი თვისება აქვს — შანტაჟს არ პატიობენ. მირზას შანტაჟს, შესაძლოა, დღეს ექვემდებარებიან, მაგრამ როგორც კი ხორავას ქუჩის საქმეზე განაჩენი დადგება, ამაზე აუცილებლად მოსთხოვენ პასუხს. სწორედ ამიტომ ეძებს პროკურატურა მასზე კომპრომატებს.

დიდი ალბათობით მაქვს იმის მოლოდინი, რომ განაჩენის დადგომის შემდგომ, მირზა სუბელიანს პრობლემები შეექმნება პროკურატურაში. ეს ხელოვნური პრობლემა იქნება თუ რეალურად რამეზე იქნება დაფუძნებული, ამას ვერ გეტყვით.

დღეს ხორავას საქმეზე ასეთი მოცემულობა გვაქვს — საქმის მთავარმა მოწმემ, ყველას თვალწინ, სასამართლოზე რამდენიმეჯერ შეცვალა ჩვენება. ეს არ იყო წინასწარი გამოძიების პერიოდში შეცვლილი ჩვენებები, სადაც მოწმეს შეუძლია არგუმენტად მოიყვანოს, რომ პოლიციას არ ენდობოდა.

სასამართლოზე, ფიცის ქვეშ, ერთ დღეს თქვა ერთი და მეორე დღეს, იგივე ფიცის ქვეშ განაცხადა, რაც გუშინ ვთქვი, მოვიტყუეო. ეს ფაქტიურად არის ჩვენების შეცვლა. ჩვენების შეცვლა, თავის მხრივ, არის სისხლის სამართლის დანაშაული. ამაზე პროკურატურა თვალს ხუჭავს. რადგან ამაზე თვალს ხუჭავენ, გამოდის, რომ მოწმეს აფარებენ ხელს.

***— ეს მოწმე სუბელიანთან კავშირშია?***

— მისი ცოლის დისშვილია.

***— ამ თემაზე რომ საუბრობთ, პრობლემა არ შეგექმნებათ? თქვენ ხომ გაუთქმელობაზე გაქვთ ხელი მოწერილი?***

— საქმის დეტალებზე არ ვსაუბრობ. ჩემი და მირზა სუბელიანის კერძო საუბარი პროკურატურის საქმე არ არის. მაგათი საქმე არ არის, გავასაჯაროებთ თუ არა ამას.

***— რადგან ისევ საუბარს დავუბრუნდით, იქნებ დაგვიკონკრეტოთ, რას გულისხმობდნენ ფრაზაში — მშვიდობა შევინარჩუნოთ.***

— მე ბორის კაკუბავას არ მოვთხოვე დაეკონკრეტებინა, თუ რას გულისხმობდა მშვიდობის შენარჩუნებაში.

***— რატომ არ სთხოვეთ დაკონკრეტება?***

— ჩემთვის გასაგები იყო, რასაც გულისხმობდნენ. ამას, ვფიქრობ, მკითხველიც კარგად ხვდება. მათ, როგორც ჩანს, ისე იფიქრეს, რომ მე თუ მერაბიშვილის კადრებზე ვისაუბრებდი, ეს მირზასთვის ომის გამოცხადება იქნებოდა. სავარაუდოდ, ამას გულისხმობდა და მთლიანად ხორავას ქუჩის ტრაგედიას. დარწმუნებული ვარ, სირიაში მშვიდობის შენარჩუნება არ ექნებოდა მხედველობაში.

# შალვა შავგულიძე: „ოპოზიცია მარგველაშვილის ირგვლივ უნდა გაერთიანდეს“

ნათია ხურცილავა

თავისუფალი დემოკრატების თავმჯდომარე შალვა შავგულიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ბოლო დროს ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***— ბატონო შალვა, „ქართულ ოცნებაში“ მიმდინარე პროცესები გავლენას იქონიებს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე?***

— მმართველ პარტიაში კრიზისი თვალსაჩინოა. ამ კრიზისის მიზეზი არის ორ დაჯგუფებას შორის პაექრობა იმაზე, თუ ვინ უფრო ახლოს მიჩოჩდეს ბიძინა ივანიშვილთან და მისი ნების გამტარი იყოს. არავითარი მნიშვნელობა არ აქვს ქვეყნისთვის, თუ რომელი დაჯგუფება მოახერხებს, უფრო ახლოს იყოს არაფორმალურ მმართველთან. ამ პოლიტიკურმა ძალამ ინსტიტუციური მმართველობა მოსპო. ყველა ინსტიტუცია ამ პოლიტიკური ძალის ნების შესაბამისად იმართება. თავად ეს პოლიტიკური ძალა კი ერთი ადამიანის ნებას ექვემდებარება. ეს არის პრობლემა და არა ის, ვინ უფრო ახლოს იქნება მეფის კარზე, ხატოვნად რომ ვთქვა.

ყველა ინსტიტუცია ერთი პარტიის გავლენის ქვეშ არის. ამ გავლენის ქვეშ არის პროკურატურა, სასამართლო სისტემა, აღმასრულებელ ხელისუფლებას მთლიანად თავად წარმოადგენენ და საპარლამენტო ხელისუფლებაში კონსტიტუციური უმრავლესობით არიან წარმოდგენილები. ერთადერთი ინსტიტუტი, რომელსაც ვერ აკონტროლებენ, პრეზიდენტის ინსტიტუტია და ამისთვის მიდის გაშმაგებული ბრძოლა. ამის შედეგია ის უსამართლო და უსაფუძვლო ბრალდებები „ქართული ოცნების“ მხრიდან პრეზიდენტის მიმართ. გიორგი მარგველაშვილი „ქართული ოცნებისთვის“ მტრად იქცა.



***— ამ ფონზე, კონსტიტუციურ უმრავლესობას შესაძლებელია საფრთხე დაემუქროს?***

— არა მგონია. „ქართულ ოცნებას“ დატოვებს კი იმდენი ადამიანი, რომ კონსტიტუციური უმრავლესობა არ ჰქონდეს მმართველ პარტიას?! ვერ ვიტყვი, რომ ასე განვითარდეს მოვლენები.

მე გამოსავალი მათ ჩამოშორებაში მგონია, რაც ოპოზიციის საქმეა. თვითონ არავითარ შემთხვევაში არ მიიყვანენ საქმეს იქამდე, რომ ხელისუფლება დაკარგონ.

***— ემზადება ამისთვის ოპოზიცია? რამდენად ძლიერი საპრეზიდენტო კანდიდატი ეყოლება? რეალურია, რომ ოპოზიციის ერთიანი კანდიდატი მოქმედი პრეზიდენტი მარგველაშვილი იყოს?***

— რასაკვირველია, სასურველია, ოპოზიციამ ერთიან კანდიდატზე შეძლოს შეთანხმება. თუმცა, შეიძლება ეს ვერ მოხერხდეს და ოპოზიციასაც რამდენიმე კანდიდატი ჰყავდეს. ამ შემთხვევაშიც არსებობს გარკვეული მექანიზმი, რომ საბოლოოდ მაინც მოხდეს ერთიან პოზიციაზე შეჯერება.

***— უფრო კონკრეტულად?***

— მეორე ტური თუ დაინიშნა, იქ მაინც მოხდეს ერთიან კანდიდატზე შეთანხმება და მხარდაჭერა. მსჯელობის საგანია, თუ რა კონფიგურაცია ჩამოყალიბდება ოპოზიციაში.

***— თქვენი პარტიის პოზიცია როგორია, თქვენ მარგველაშვილს უჭერთ მხარს?***

— ჩვენთვის სასურველი იქნებოდა, რომ გიორგი მარგველაშვილს წარედგინა საკუთარი კანდიდატურა და მეორე ვადით ეყარა კენჭი პრეზიდენტის პოსტზე. ჩვენ ღირებულებითი თანხვედრა გვაქვს, ვხედავთ, რომ მან პრეზიდენტის ინსტიტუტს ინსტიტუციური დამოუკიდებლობა შეუნარჩუნა. ის არ მოექცა „ქართული ოცნების“ გავლენების ქვეშ. ეს ყოველივე ნამდვილად არის საკმარისი იმისთვის, რომ მან გააგრძელოს ამ პოსტზე მუშაობა. იმავდროულად, ის არ არის რომელიმე პოლიტიკურ ძალასთან აფილირებული. „ქართული ოცნებიდან“ დისტანცირებულია, საერთოდ მტრად არის შერისხული. ამ თვალსაზრისით სასარგებლო იქნებოდა ოპოზიციის სრული გაერთიანება გიორგი მარგველაშვილის კანდიდატის ირგვლივ, რომ არ დავუთმოთ ეს ინსტიტუტი „ქართულ ოცნებას“.

***— „ევროპული საქართველო“ სახელისუფლო პარტიის თამაშს თამაშობს? თავად „ოცნების“ გარკვეული წევრები ამბობენ, რომ სად იწყება „ოცნება“ და სად მთავრდება „ევროპული საქართველო“, მათ უკვე აღარ იციან.***

— ღმერთმა არ ქნას, რომ ასე იყოს და მჯერა, რომ ასე არ არის. მე ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ „ევროპული საქართველოს“ პოლიტიკური დღის წესრიგი თანხვედრაშია მმართველი პარტიის დღის წესრიგთან. ასე ნამდვილად

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# ვახტანგ გომელაური: „რუსეთის ფედერაცია სოხუმსა და ცხინვალში ეტაპობრივ ანექსიას ახორციელებს“



– შევეცადე დახურულ ფორმატში გახსნილი ინფორმაცია მაქსიმალურად მიმეწოდებინა, – ამის შესახებ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა ვახტანგ გომელაურმა პარლამენტში, დახურული სხდომის დასრულების შემდგომ ჟურნალისტებს განუცხადა.

რაც შეეხება საფრთხეებს, მისი თქმით, პირველი საფრთხე არის ოკუპირებული ტერიტორიებიდან მომავალი საფრთხეები.

– ტერიტორიის 20% ოკუპირებულია, აქ დგას რუსეთის ჯარები, კიდევ არის სხვა საფრთხეები, რომელზეც დახურულ სხდომაზე ვისაუბრე. რაც შეეხება ტატუნაშვილის თემას, უმძიმესი თემა იყო. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, დაზუსტდეს, ვისი მხრიდან მოხდა და ვინ მონაწილეობდა მკვლელობაში და ეს ადამიანები ოთხოზორიას სიას დაემატება. რაც შეეხება რუსულ პროპაგანდას, ყველაფერი კეთდება რუსული პროპაგანდის წინააღმდეგ, მაგრამ დეტალებზე არ ვისაუბრებ, – აღნიშნა სუსის უფროსმა.

კითხვაზე, რა რეკომენდაციები მისცა მთავრობას და რა მიმართულებით უნდა გააქტიურდნენ, ვახტანგ გომელაურის განცხადებით, ეს არის საიდუმლო ინფორმაცია.

– ეს არის საიდუმლო. ისეთ რამეს მეკითხებით, იგივეა, პირდაპირ დავურეკო რუსეთის სპეცსამსახურს და ვუთხრა, ასეთ რამეზე ვმუშაობთ და აბა, თქვენ იცით, საწინააღმდეგოდ იმოქმედეთ, – განაცხადა გომელაურმა.

მისი თქმით, როდესაც თქვა, რომ სხვა ქვეყნის სპეცსამსახურები ცდილობენ ანტიდასავლური განწყობის შექმნას, გულისხმობდა იმას, რომ ყველა ქვეყანას აქვს თავისი ინტერესი და დაზვერვის სამსახური იმისთვის არის შექმნილი, რომ იმუშაოს სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე მისი ქვეყნის სასარგებლოდ და ეს ჩვეულებრივი თემაა.

ვახტანგ გომელაურმა ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე ჩატარებულ სპეცოპერაციასა და მაჩალიკაშვილის თემის ირგვლივ ოპოზიციის კითხვების პასუხად განუცხადა.

გომელაურის თქმით, გამოძიება მიმდინარეობს, არსებობს მასალები, თუ როგორ მიმდინარეობდა მოვლენები, როგორ შემოვიდნენ, ვინ ეხმარებოდა, იარაღი საიდან არის ამოღებული, როდინდელი ჩამარხულია სამარხში.

რაც შეეხება გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს სპეცოპერაციის დროს ადგილზე იმყოფებოდა სოსო გოგაშვილი, გომელაური ამ ინფორმაციას უარყოფს და აცხადებს, რომ ადგილზე არც გოგაშვილი და არც ერთი მისი მოადგილე არ იმყოფებოდა.

– 2017 წელი ტერორიზმიდან მომდინარე საფრთხეების თვალსაზრისით, გარკვეულწილად, კრიტიკული აღმოჩნდა. ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლები მნიშვნელოვანი ტერიტორიული დანაკარგების შემდეგ, ტერორისტული აქტივობების განხორციელების მიზნით სხვადასხვა ქვეყანაში გაემგზავრნენ. შეიცვალა ორგანიზაციის მოქმედების ტაქტიკაც. იგი ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაციების განხორციელებიდან ტერორისტული თავდასხმების ორგანიზებაზე გადაერთო. „ისლამურმა სახელმწიფომ“ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ტერორისტული აქტები განახორციელა, რის შედეგადაც მშვიდობიანი მოქალაქეები დაიღუპნენ, – განაცხადა გომელაურმა.

მისი თქმით, გასულ წელს საქართველოშიც ადგილი ჰქონდა ტერორიზმის დაფინანსების მცდელობის, ექსტრემისტული და ტერორისტული იდეების მხარდაჭერისა და საქართველოს ცალკეული მოქალაქეების რადიკალიზაციის ფაქტებს.

– ზემოაღნიშნულ და სხვა ტიპის აქტივობებთან დაკავშირებით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა გაატარა კანონით დადგენილი შესაბამისი ღონისძიებები, კონტრტერორისტულ ცენტრში გამოძიება დაწყებულია სისხლის სამართლის 6 საქმეზე. 2017 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა ტერორისტული აქტები დაგეგმვის პროცესში აღკვეთა. სამსახურის მიერ გამოვლინდა ქვეყნის ტერიტორიაზე მყოფი საერთაშორისო ტერორისტული ჯგუფი და მათი ხელშემწყობი საქართველოს მოქალაქეები. არსებული ინფორმაციით, ტერორისტული ჯგუფის მიზანს წარმოადგენდა ტერაქტების მოწყობა საქართველოსა და თურქეთის ტერიტორიაზე. ლიკვიდირებულ პირთა შორის დადგინდა, საერთაშორისო ტერორისტი, აჰმედ ჩატაევი. ქ. თბილისში ჩატარებული სპეცოპერაციისას დაიღუპა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელი ივანე გოლაშვილი და დაიჭრა რამდენიმე სამართალდამცავი, თავიდან იქნა აცილებული მსხვერპლი მშვიდობიან მოქალაქეებს შორის.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ თბილისსა და ახმეტის რაიონის სოფლებში ტერორისტულ ჯგუფთან კავშირზე მყოფი საქართველოს მოქალაქეების დაკავების სპეცოპერაცია ჩატარდა. სასამართლოს განჩინების საფუძველზე დაკავებულ იქნა 5 პირი. ერთ-ერთი მათგანი მოგვიანებით, სპეცოპერაციის დროს მიყენებული ჭრილობის შედეგად გარდაიცვალა. აღნიშნულ ტერორისტულ ჯგუფთან მიმართებაში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ განხორციელებული კონტრტერორისტული მოქმედებები იყო პრევენციული, რადგან მოხდა ტერორისტული ჯგუფის გამოვლენა და მათი ქმედებების აღკვეთა, – განაცხადა გომელაურმა.

მისი თქმით, მთლიანობაში უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო კვლავ ინარჩუნებს დაბალი ტერორისტული საფრთხის მქონე ქვეყნის სტატუსს.

– 2017 წლის განმავლობაში, საქართველოში, ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ გავლენები მნიშვნელოვნად შესუსტდა. საქართველოში სულ უფრო ნაკლები ახალგაზრდა ინტერესდება ამ ორგანიზაციის იდეოლოგიითა და ე.წ. რელიგიური შეხედულებებით. აღნიშნულ პროცესზე გავლენა იქონია, სირია-ერაყში განვითარებულმა მოვლენებმა და სახელმწიფოს მიერ გატარებულმა შესაბამისმა ღონისძიებებმა.

ტერორიზმის არაპროგნოზირებადი ბუნებიდან გამომდინარე, საფრთხეების სრულად აღკვეთა პრაქტიკულად შეუძლებელია, თუმცა გასულ წელს განვითარებულმა მოვლენებმა ნათლად დაგვანახა, რომ უსაფრთხოების სამსახურს შეუძლია ტერორისტული აქტივობების მოსამზადებელ ეტაპზე გამოვლენა და აღკვეთა, რაც დღეს არსებული დინამიკური ტერორისტული საფრთხეების გათვალისწინებით განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენს, – განაცხადა სუსის უფროსმა და დასძინა, რომ კონტრტერორისტული შესაძლებლობების გაუმჯობესების კუთხით, უსაფრთხოების სამსახური აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო პარტნიორებთან.

გომელაური აცხადებს, რომ რუსეთის ფედერაცია სოხუმსა და ცხინვალში ეტაპობრივი ანექსიის პოლიტიკას ახორციელებს.

– რუსეთის მიერ ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში მიმდინარე წლის 22 თებერვალს მომხდარმა ფაქტმა, რასაც არჩილ ტატუნაშვილის სიცოცხლის ხელყოფა და ჩვენი ქვეყნის ორი მოქალაქის იძულებითი ტყვეობა მოჰყვა, კიდევ ერთხელ დაადასტურა, თუ როგორი რთულია უსაფრთხოების ვითარება აღნიშნულ რეგიონებში. მსგავსი ტრაგედიები ნათლად გვიჩვენებს, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარება და ადამიანის ფუნდამენტური უფლებების ხშირი დარღვევა არის სწორედ ის უპირველესი გამოწვევა, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დღის წესრიგს. წლების განმავლობაში ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში შექმნილმა ვითარებამ ცხადყო, რომ რუსეთის ფედერაცია სოხუმსა და ცხინვალში ეტაპობრივი ანექსიის პოლიტიკას ახორციელებს. აღნიშნულის ნათელი მაგალითებია ოკუპირებულ აფხაზეთში რუსეთისა და დე ფაქტო შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთობლივი „საინფორმაციო-საკოორდინაციო ცენტრის“ შექმნა. ასევე, ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის ე.წ შეიარაღებული ძალების ცალკეული დანაყოფების რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს შემადგენლობაში გადასვლა, – განაცხადა გომელაურმა.

მისივე თქმით, გასული წლის განმავლობაში რუსეთის საოკუპაციო ძალებმა ოკუპირებულ ტერიტორიებზე 100-ზე მეტი უკანონო სამხედრო წვრთნა ჩაატარეს, რაც აზიანებს არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთლიანად სამხრეთ კავკასიის რეგიონის უსაფრთხოების გარემოს.

სუსი ყველაფერს აკეთებს, რათა გიგა ოთხოზორიასა და დავით ბაშარულის მკვლელობის ჩამდენი პირები ქართული მართლმსაჯულების წინაშე წარდგნენ, – განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

– ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ჩვენი სამსახური წამყვანი უწყებაა ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (I ლ ) ფორმატის შეხვედრებში, სადაც მუდმივად განიხილებოდა ყველა პრობლემური საკითხი და ინციდენტი. აღნიშნული შეხვედრების დღის წესრიგში მუდმივად დგას სასტიკად მოკლული გიგა ოთხოზორიასა და ცხინვალის რეგიონში გაურკვეველ ვითარებაში დაღუპული დავით ბაშარულის საქმეები. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ყველაფერს აკეთებს და იყენებს მის ხელთ არსებულ ყველა სამართლებრივ ბერკეტს, რათა აღნიშნული დანაშაულის ჩამდენი პირები წარდგნენ ქართული მართლმსაჯულების წინაშე, – განაცხადა გომელაურმა.

მისივე ინფორმაციით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის აქტიური ჩართულობისა და ინტენსიური მოლაპარაკებების შედეგად, 2017 წელს ცხინვალის ე.წ. ციხის უკანონო პატიმრობიდან გათავისუფლდა 2016 წელს დაკავებული გიორგი გიუნაშვილი, რომელსაც 20-წლიანი პატიმრობა ემუქრებოდა და ოკუპირებული აფხაზეთიდან 6-წლიანი უკანონო პატიმრობიდან გათავისუფლდა გიორგი ლუკავა, რომელსაც 20 წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი.

– სამსახური ჩართულია ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების ფორმატში, სადაც პირველი სამუშაო ჯგუფის ფარგლებში განიხილება საოკუპაციო ხაზის გასწვრივ და ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული უსაფრთხოების ვითარება. ჩვენ მჭიდროდ ვთანამშრომლობთ საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიასა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტთან, ასევე გაეროს, ევროსაბჭოსა და ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის წარმომადგენლობებთან. სამსახური აქტიურად თანამშრომლობს ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის დანაშაულებს იძიებს, – აღნიშნა ვახტანგ გომელაურმა.

– გამოიკვეთა საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების მცდელობები, გააძლიერონ და გააფართოონ პოლიტიკური გავლენები, – ამის შესახებ პარლამენტში, ყოველწლიური ანგარიშით წარდგენისას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელმა ვახტანგ გომელაურმა განაცხადა.

მისი თქმით, გამოიკვეთა უცხო ქვეყნების მოქალაქეების საქართველოში სხვადასხვა სტატუსით დაფუძნების მსურველთა რაოდენობის ზრდა.

გომელაურის განცხადებით, საანგარიშო პერიოდში კონტრდაზვერვითი საქმიანობის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზმა ცხადყო, რომ საქართველოში უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების ძირითადი ამოცანებია – ქართულ საზოგადოებაში ანტიდასავლური განწყობების გაღვივება, საერთაშორისო დონეზე საქართველოს, როგორც საიმედო პარტნიორის, იმიჯის შელახვა, საზოგადოებაში უნდობლობის, გაურკვევლობის, უიმედობისა და ნიჰილიზმის გაჩენა.

– საკუთარი ამოცანების შესასრულებლად სხვადასხვა ქვეყნის სპეცსამსახურები კვლავ აქტიურად იყენებენ „ჰიბრიდული ომის“ ტაქტიკას. ცდილობენ, პროპაგანდისტული მედიაკამპანიისა და დეზინფორმაციის, ასევე სხვა კომპონენტების გამოყენებით, სასურველი შედეგის მიღებას. საქართველოს წინააღმდეგ „ჰიბრიდული ომის“ წარმოებაში უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების მიერ გამოყენებული მეთოდები გამოირჩევა მრავალფეროვნებით და მიმართულია ქვეყანაში დემოკრატიული ღირებულებების, ინსტიტუტებისა და კანონის უზენაესობის წინააღმდეგ. გატარებული კონტრდაზვერვითი ღონისძიებების შედეგად გამოიკვეთა საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების მცდელობები, გააძლიერონ და გააფართოონ პოლიტიკური გავლენები.

მისივე თქმით, საანგარიშო პერიოდში კომპლექსურად ტარდებოდა კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ საქმიანობაში ჩართული ძალებისა და მათი დაფინანსების წყაროების დასადგენად.

– გამოვლენილია პირთა წრე, რომელთა ქმედებებში იკვეთება უცხო ქვეყნების სადაზვერვო სამსახურებთან შესაძლო კავშირის ნიშნები. დადგენილია მათი კონტაქტები საქართველოს მოქალაქეებთან.

მისი განცხადებით, მიმდინარეობს აღნიშნული კონტინგენტის ოპერატიული შესწავლა და კანონსაწინააღმდეგო ქმედებების გამოვლენა. საქართველოსა და უცხო ქვეყნებში იდენტიფიცირებულნი არიან პირები, რომლებიც ქვეყნის უსაფრთხოებისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის იდეის პროპაგანდას ეწევიან. მათი მხრიდან მომდინარე საფრთხეების განეიტრალების მიზნით, გატარდა შესაბამისი ღონისძიებები. ქვეყანაში გაზრდილი მიგრაციული ნაკადების ფონზე, მუდმივად მიმდინარეობს მიგრაციული არხების მონიტორინგი.

გამოიკვეთა უცხო ქვეყნების მოქალაქეების საქართველოში სხვადასხვა სტატუსით დაფუძნების მსურველთა რაოდენობის ზრდა. აქტიურად მიმდინარეობდა საქართველოში დროებით ან მუდმივად მცხოვრები, მუდმივი ბინადრობის ან ორმაგი მოქალაქეობის მქონე იმ პირების შესწავლა, რომლებსაც შესაძლოა კავშირი ჰქონდეთ უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებთან.

– სამსახური მომავალშიც აქტიურად გააგრძელებს თავისი საქმიანობის განხორციელებას ახალი გამოწვევების შესაბამისად. კანონისა და დემოკრატიული ღირებულებების დაცვით, მაქსიმალურად იქნება უზრუნველყოფილი, როგორც ქვეყნის, ასევე თითოეული მოქალაქის უსაფრთხოება, – აღნიშნა ვახტანგ გომელაურმა.



შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნივთმტკიცებად ამოღებული რამდენიმე მილიონი ლარის ღირებულების ნარკოტიკი გაანადგურა.

## შსს-მ ნივთმტკიცებად ამოღებული რამდენიმე მილიონი ლარის ღირებულების ნარკოტიკი გაანადგურა

– შინაგან საქმეთა სამინისტრომ 400 კილოზე მეტი სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად გაანადგურა. სისხლის სამართლის 800 საქმეზე სხვადასხვა დროს ნივთმტკიცებად ამოღებული, განადგურებული ნარკოტიკების ღირებულება ე.წ. „შავ ბაზარზე“, დაახლოებით, ოთხ მილიონ ლარზე მეტია.

სამართალდამცველები ნარკოტიკულ და ფსიქოაქტიურ ნივთიერებებს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანების საფუძველზე, სასამართლოს შესაბამისი განაჩენის შემდეგ, სპეციალური მუდმივმოქმედი კომისიის თანდასწრებით, ეტაპობრივად ანადგურებენ.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაანადგურა საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა დროს ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად უკანონო ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკული საშუალებები: 996 გრამი კოკაინი, 288 გრამი ჰეროინი, 1402 აბი „სუბუტექსი“, კოდეინის შემცველი 1317 აბი, 55 გრამი და 173 აბი მეტადონი, 172 გრამი და 77 აბი „მდმა“, ასევე, სხვადასხვა დასახელების დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებები, ფსიქოტროპული და ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებები.

ნარკოტიკები ახალი ტექნოლოგიით, შესაბამისი გარემოსდაცვითი სტანდარტებისა და ფილტრაციის სისტემების მქონე მაღალტემპერატურულ ღუმელში განადგურდა. ნარკოტიკული საშუალებების განადგურების პროცესს, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებთან ერთად, მთავარი პროკურატურის და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებიც დაესწრნენ, – აღნიშნულია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# ნანა კაკაბაძე: „პრეზიდენტი აზრზე არ არის, რაზე ლაპარაკობს და რას ლაპარაკობს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს უფლებადამცველი ნანა კაკაბაძე პასუხობს.

***– ქალბატონო ნანა, ბოლო დღეებია დიდი აჟიოტაჟია ატეხილი შეწყალების თემაზე. უმრავლესობა პასუხისმგებლობას პრეზიდენტს აკისრებს, პრეზიდენტი კი დამნაშავეებს სხვაგან ეძებს. როგორია თქვენი, როგორც უფლებადამცველის, შეფასებები?***

– შეწყალება, ისევე, როგორც ამნისტია, პატიმრების ვადამდე გათავისუფლება, არის ჰუმანური აქტი. ამ თემის დისკრედიტირება და ცუდად შეხება არის ძალიან არასწორი საქციელი, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვიღაცის ხელში, თუნდაც პრეზიდენტის ხელში, ის იქცეს უსამართლობის ან არასწორი გადაწყვეტილების იარაღად.

***– არასწორ გადაწყვეტილებებს იღებს შეწყალების კომისია?***

– პრეზიდენტს შეწყალების კომისია საკმაოდ პატივსაცემი პიროვნებებით ჰყავს დაკომპლექტებული. თუნდაც ისეთით, როგორიცაა ნონა გაფრინდაშვილი. თუმცა არ შეიძლება პრეზიდენტის მხრიდან ამ ადამიანების გამოყენება იმიჯისთვის და შემდგომ რაღაცა ქვენაგრძნობების დაფარვის მიზნით არ უნდა იქნეს მათი სახეები და მათი ავტორიტეტი გამოყენებული.

***– ე.ი. არაკომპეტენტურობაზეც მიანიშნებთ?***

– როგორ შეიძლება ადამიანებმა, რომლებმაც არაფერი იციან ციხის შესახებ, არ ერკვევიან კანონში, მიიღონ გადაწყვეტილებები და ძირითადად მათ გადაწყვეტილებებს უნდა ეყრდნობოდეს პრეზიდენტი, ვინაიდან მან შექმნა ასეთი საბჭო.



ეს ჯგუფი შექმნილია იმისთვის, შეწყალებას რომ ექნება რაღაცა პრობლემები, საზოგადოებას გაუჭირდეს უკმაყოფილების გამოხატვა, ვინაიდან იქ ასეთი ავტორიტეტული პიროვნებები არიან. პრეზიდენტი უნდა ფიქრობდეს იმაზე, რომ ეს კომისია იყოს ქმედითუნარიანი. შეწყალება უნდა მიანდოს ისეთ გუნდს, რომელიც ამაში არის გამოცდილი და არა – სახეებს.

***– ანუ კომისიის წევრები ვერ ერკვევიან, თუ ვინ უნდა შეიწყალონ და ვინ არა?***

– სხვა შემთხვევაში როგორ შეიძლება კომისია ღებულობდეს გადაწყვეტილებას, რომ ციხიდან გათავისუფლდეს ადამიანი, რომელმაც ქვით გაუჩეჩქვა თავი მეუღლეს.

***– პრეზიდენტმა სულ სხვა უწყებები დაადანაშაულა. ეს პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მცდელობა იყო?***

– ძალიან ცუდად ჩანდა პრეზიდენტის მხრიდან ისრების გადატანა სხვა მიმართულებით. რას ჰგავდა მისი განცხადებები, კარგი დახასიათებები გამომიგზავნა პენიტენციალურმა უწყებამო, მეუღლემ შუამდგომლობა გაუწიაო. პრეზიდენტი აზრზე არ არის, რაზე ლაპარაკობს და რას ლაპარაკობს.

***– ისიც არაკომპეტენტურია?***

– სასჯელაღსრულებამ ექვსჯერ უთხრა უარი და მარგველაშვილმა გამოუშვა. ანუ დახასიათებების გარდა, კიდევ სხვა პარამეტრებია საჭირო იმისთვის, რომ პირის გათავისუფლებაზე მიიღო გადაწყვეტილება.

***– კერძოდ?***

– სულ რომ არ ჩაედინა ამ ადამიანს გათავისუფლების შემდეგ დანაშაული, იმისი წახალისება, რომ ადამიანმა თავი გაუხეთქა ცოლს ქვით, რამდენად სწორია?! ეს ნორმალურია?! ამით ხომ წახალისება ხდება მოძალადის, ან პოტენციური მოძალადის, როდესაც მას იწყალებ. ეს მძიმე დანაშაულია. შესაძლოა, მკვლელობაზე უარესიც!

***– მკვლელობაზეც?***

– მკვლელობა შეიძლება მოხდეს აფექტის ნიადაგზეც, ან ანგარიშსწორების გამო, სისხლის აღებას რომ უწოდებენ. არ მართლდება, მაგრამ შეიძლება რაღაც სარჩული მოუძებნო და შეიწყალო, მაგრამ მიდიხარ მიზანმიმართულად, ძალადობ სისტემატურად, ქვით უჩეჩქავ თავს და პრეზიდენტი გიწყალებს. სულ რომ აღარ ჩაედინა ამ ადამიანს დანაშაული, თავისთავად ამის წახალისება პრეზიდენტის მხრიდან არის ძალიან დიდი დანაშაული საზოგადოების წინაშე!

***– მეუღლის თხოვნაც იყო შეწყალების თაობაზეო.***

– სამარცხვინოა! ცოლმა დაწერა განცხადებაო, იქნებ ის ცოლი როგორი ფსიქოლოგიური ტერორის ქვეშ აძლევდა ამ რეკომენდაციას.



რა, შეხვდა ამ ადამიანს, გაესაუბრა, დაინახა მისი განწყობები თუ ამ ორსიტყვიანი წერილის საფუძველზე მიიღო ეს გადაწყვეტილება?

ზოგადად ეს მარტო პრეზიდენტის დანაშაული არ არის!

***– კიდევ ვის პასუხისმგებლობაზე შეიძლება საუბარი?***

– ვინც ასეთი ადამიანი ხელისუფლებაში დასვა, სწორედ მათი პასუხისმგებლობაა.

# აშშ სირიაში არაბულ კონტინგენტს ათავსებს?

## რა პრობლემები შეექმნა სირიაში თურქეთს

მარიამ მჭედლიშვილი

დასავლელი მოკავშირეები იმედოვნებენ, რომ სირიის რეჟიმი ველარ მოახერხებს ქიმიური იარაღის წარმოებასა და გამოყენებას. აშშ-გერმანია-საფრანგეთის ავიადარტყმები მიზნად ისახავდა სამი ობიექტის განადგურებას. ამ ობიექტებში განთავსებული იყო ქიმიური არსენალის საწყობი, წარმოებისა და კვლევის ცენტრები.

აშშ-ის პრეზიდენტი მისიას შესრულებულად მიიჩნევს. მას რამდენჯერმე აქვს ნათქვამი, რომ აშშ-ის ჯარმა სირია უნდა დატოვოს. გავრცელებული ინფორმაციით, ვაშინგტონის გეგმებში შედის სირიაში არაბული კონტინგენტის შექმნა. მან ამერიკული ჯარი უნდა ჩაანაცვლოს. არაბულ კონტინგენტში შევლენ საუდის არაბეთის, არაბეთის გაერთიანებული საამიროების, ეგვიპტისა და ყატარის სამხედროები.

საუდის არაბეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, ქვეყანა მზადაა სირიაში თავისი ჯარის შესაყვანად.

საუდის არაბეთი ბოლო დროს უფრო დაუახლოვდა აშშ-ს. აღარ იმალება არაბული კონტაქტები ისრაელთან. ამასთან, საუდელებს ოპონენტები ბრალად სდებენ ტერორისტული ორგანიზაცია „ჯებჰატ ან-ნუსრას“ მფარველობაში. ეს ორგანიზაცია სირიაში ისევ მოქმედებს. მას იარაღი არ დაუყრია.

არაბული კონტინგენტის ჩამოყალიბებით აშშ ამოავსებს სირიის უსაფრთხოების სფეროში შექმნილ ვაკუუმს ამერიკული ჯარის გასვლის შემდეგ. არსებობს სხვადასხვა შეიარაღებული დაჯგუფების სირიაში დაბრუნების რისკი.

აშშ-ის ამოცანები ამ რეგიონში ასე ხასიათდება:

ტერორიზმთან ბრძოლა;

ირანის მოქმედებებზე მეთვალყურეობა;

გარანტიების მიღება, რომ ქიმიური იარაღი არ იქნება გამოყენებული.

ქიმიური იარაღის განადგურების ვალდებულება დამასკომ 2013 წელს იკისრა, თუმცა, მას მთელი არსენალი არ გაუნადგურებია.

თურქეთის ეროვნული უშიშროების საბჭო გამოთქვამს იმედს, რომ მოკავშირეების მხარდაჭერით ქვეყნის არმია გააგრძელებს ოპერაციას სირიაში. ანკარას განმარტებით,



ეს ოპერაცია ტარდება ტერორისტებისგან სირიის გასაწმენდად და სირიის ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად.

თურქეთი არ აკონკრეტებს, რომელ მოკავშირეებზე საუბრობს. ანკარა მოსკოვთან და თეირანთანაც თანამშრომლობს და დასავლეთთანაც.

ამ დღეებში თურქეთმა დაგმო ქიმიური იარაღის გამოყენება სირიის ქალაქ დუმაში, რასაც ავიაიერიში მოჰყვა.

სირიაში შექმნილი სიტუაცია თურქეთის პრეზიდენტმა ირანელ კოლეგასთან ერთად განიხილა.

– თურქეთის პოზიცია ქიმიური იარაღის გამოყენების საკითხზე უცვლელია. მნიშვნელოვანია, არ მოხდეს დაძაბულობის ესკალაცია სირიაში, – აღნიშნა ერდოღანმა.

ანკარამ და თეირანმა გამოხატეს თურქეთის, ირანისა და რუსეთის ერთობლივი მოქმედებების გაგრძელების აუცილებლობა სირიის კრიზისის მშვიდობიანად გადასაჭრელად.

ევროპული მედიის აზრით, აშშ-სა და რუსეთს შორის კრიზისის გამწვავებამ შეიძლება დააზარალოს თურქეთი. ანკარა ებრძვის ქურთულ დაჯგუფებებს სირიაში, რისთვისაც მას მოსკოვი სჭირდება. ამავდროულად, თურქეთი ნატოს წევრი და აშშ-ის მოკავშირეა. ესკალაციის შემთხვევაში ანკარას არჩევანის გაკეთება მოუწევს. ამის შედეგი იქნება თურქეთის გავლენის შეზღუდვა როგორც სირიაში, ისე ევროპაში. ევროკავშირი ისედაც გამწყრალია ანკარაზე დესპოტური მმართველობის სტილის გამო.

გერმანიის მთავრობის სურვილია, დაიწყოს მოლაპარაკებები სირიის კრიზისის მოგვარებაზე ასადის გარეშე. ეს ინიციატივა ბევრს საეჭვოდ მიაჩნია. გერმანელი ექსპერტი ახლო აღმოსავლეთის საკითხებში გიდო შტაინბერგი აცხადებს, რომ ევროპას ახლო აღმოსავლეთში გავლენა არ გააჩნია.

14 აპრილის დარტყმა სირიაში ვითარებას ვერ შეცვლის, ვინაიდან ეს დარტყმა ძალიან შეზღუდული იყო. მისი თქმით, ბაშარ ასადი დარჩება და ომს აიტანს მანამდე, ვიდრე რუსეთისა და ირანის მხარდაჭერა აქვს. მოლაპარაკებების გამართვის რესურსი ისევ აქვთ რუსეთს, ირანსა და თურქეთს. ამ ქვეყნებს ჯარებიც განთავსებული ჰყავთ სირიაში.

# შალვა შავგულიძე: „ოპოზიცია მარგველაშვილის ირგვლივ უნდა გაერთიანდეს“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

არ არის. „ევროპული საქართველოს“ წევრებისა და პრეზიდენტის წარმომადგენლების ბოლო დღეების დაპირისპირებამ სასურველი სახე არ მიიღო. ამ დაპირისპირების პროვოცირება ალბათ მაინც „ევროპული საქართველოს“ ზოგიერთი წარმომადგენლისგან მოდის. მათი ბრალდებები პრეზიდენტის მიმართ არცთუ სამართლიანი იყო, ვგულისხმობ შეწყალების ფაქტთან დაკავშირებით.

***– თუმცა, პრეზიდენტის ადმინისტრაციისგანაც არ დააყოვნა ბრალდებებმა, რომ ერთ კოალიციაში არიან და ა.შ.***

– დიახ, და ეს არ იყო მთლად კორექტული არც ერთი მხრიდან. მე მაინც მგონია, რომ არასწორად მოხდა პრეზიდენტისთვის გადაბრალება ამ ტრაგედიის, რომ თითქოს მის მიერ შეწყალების აქტის გამოყენება გახდა მიზეზი ამ საშინელი ტრაგედიის, რაც რეალობასთან ახლოს შეუძლებელია, რომ იყოს. სამართლებრივად არავითარი დარღვევა არ ყოფილა შეწყალების აქტის გამოყენების დროს პრეზიდენტის და არც შეწყალების კომისიის მხრიდან.

სუბიექტური განწყობებიდან გამომდინარე, გარკვეული მოტივაციებით არ შეიძლება განსაკუთრებით ასეთი ტრაგიკული შემთხვევების პოლიტიკურ ჭრილში გადატანა და ამის პოლიტიკური დაპირისპირების საფუძვლად თუ ახალ საბაბად ქცევა. ეს დაუშვებელია!

# გიორგი ჭირაქაძე: „ძალიან მნიშვნელოვანია სიფრთხილის გამოჩენა, როდესაც პოლიტიკოსები საბანკო სექტორზე განცხადებებს აკეთებენ“

საბანკო სექტორი ქვეყანაში ძალიან არის მნიშვნელოვანი სექტორი და მასზე საუბრისას დიდი სიფრთხილეა საჭირო, – ამის შესახებ საქართველოს ბიზნესასოციაციის პრეზიდენტმა გიორგი ჭირაქაძემ განაცხადა.

– არის ძალიან ბევრი თემები და საკითხები, რომლებიც მუდმივად მსჯელობის საგანია. ჩვენ ძალიან მკაფიოდ ვაფიქსირებდით, რომ საბანკო სექტორი არის ძალიან მნიშვნელოვანი სექტორი ქვეყანაში და დიდი სიფრთხილეა საჭირო, როდესაც ამ სექტორთან მიმართებაში არის საუბარი, – განაცხადა ჭირაქაძემ.

ამასთან, ბიზნესასოციაციის პრეზიდენტის თქმით, მას ძალიან კარგად ესმის ფინანსთა მინისტრის განცხადების სტარტაპებთან დაკავშირებით.

– ძალიან მკაფიოდ მესმის ფინანსთა მინისტრის, როდესაც ის საუბრობს სტარტაპებზე, რადგან სტარტაპების დაფინანსებაში თქვენ გაიგეთ ბანკის წარმომადგენლების მხრიდანაც, შეუძლებელია, ბანკი ისე იყოს ჩართული, როგორც ჩვენ ყველას გვინდა. ამას ორი მხარე აქვს. მე ერთ რამეს გეტყვით, როგორც ბიზნესასოციაციის წარმომადგენელი, რომ საბანკო სექტორი არის ძალიან მნიშვნელოვანი სექტორი და ძალიან მნიშვნელოვანია სიფრთხილის გამოჩენა, როდესაც პოლიტიკოსები აკეთებენ განცხადებებს ამ სექტორთან დაკავშირებით, – განაცხადა გიორგი ჭირაქაძემ.



ფინანსთა მინისტრმა მამუკა ბახტაძემ განაცხადა, რომ საბანკო სისტემა უნდა იყოს არა ეკონომიკის განვითარების მუხრუჭი, არამედ მისი მამოძრავებელი ძალა. მისი თქმით, საპროცენტო განაკვეთები, რაც საბანკო სისტემაშია, ბიზნესის დაწყების შესაძლებლობას არ იძლევა.

# ქვეყანაში დაუმუშავებელი მიწის ფართობი იზრდება

ქვეყანაში დაუმუშავებელი მიწის ფართობი იზრდება. 2017 წელს საშემოდგომო და საგაზაფხულო კულტურების ნათესი ფართობების მოცულობა ოთხი წლის მინიმუმზე დაფიქსირდა.

საქსტატმა მემცენარეობის შესახებ 2017 წლის წინასწარი შედეგები გამოაქვეყნა, რომლის თანახმად, გასულ წელს ნათესი ფართობების მოცულობამ თითქმის 214.9 ათასი ჰექტარი შეადგინა, რაც ნაკლებია არა მხოლოდ 2016 წელთან შედარებით, არამედ, ბოლო ოთხი წლის მანძილზე ყველაზე დაბალი მაჩვენებელია.

გარდა ამისა, შემცირებულია როგორც საშემოდგომო მარცვლოვანი კულტურების, ისე საგაზაფხულო კულტურების ნათესი ფართობები.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებულ მონაცემში კარგად ჩანს, რომ 2014 წელს ქვეყანაში სულ 274 ათას 900 ჰექტარი ნათესი ფართობი იყო, 2015 წელს 263 ათას 700, 2016 წელს 240 ათასი, ხოლო 2017 წელს 214 ათას ცხრაასი ჰექტარი.

აქედან საშემოდგომო მარცვლოვან კულტურებს (ხორბალი, ქერი), 2014 წელს 58 ათას 400 ჰექტარი შეადგენდა, 2015 წელს 56 ათას 200, 2016 წელს 60 ათას 500, 2017 წელს 52 ათას 500, ხოლო 2018 წელს 46 ათას ორასი ჰექტარი იყო.



საშემოდგომო კულტურების ნათეს ფართობებში იგულისხმება წინა წლის შემოდგომაზე დათესილი საშემოდგომო კულტურების ნათესი ფართობი, საიდანაც მოსავლის აღება ხორციელდება მიმდინარე წელს.

მონაცემში ასევე ასახულია საგაზაფხულო კულტურები რაც 2014 წელს 216 ათას 500 ჰექტარს შეადგენდა, 2015 წელს 207 ათას 500, 179 ათას 500, ხოლო 162 ათას 400 ჰექტარს.

ამასთან, 2017 წელს ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ყველაზე ცოტა იყო ციტრუსის წარმოებაც – სულ დაახლოებით, 58 ათასი ტონა.

დაახლოებით, 75 ათასი ტონით ნაკლები იყო 2017 წელს ხილის მოსავალი და შეადგინა, დაახლოებით, 111 ათას 800 ტონა, რაც ბოლო 4 წლის განმავლობაში ყველაზე დაბალი მაჩვენებელია.

ქვეყანაში დაუმუშავებელი მიწის ფართობის ზრდას „ევროპული საქართველოს" წარმომადგენელი ზურაბ ჭიაბერაშვილი გადასახადების ზრდას უკავშირებს, რის გამოც მიწაზე მომუშავე ადამიანს საჭირო ინვენტარის შეძენა უჭირს.

– როდესაც სახელმწიფომ სოფლის დახმარება გადაწყვიტა, მან უნდა გაარკვიოს, სოფლის მოსახლეობას ეხმარება თუ სოფლის მეურნეობას. ხვნა-თესვის ვაუჩერი იყო სოციალური პროექტი, რომელიც სოფლის მეურნეობას ასე პირდაპირ არ დაეხმარებოდა.

ჩვენ ადრეც ვამბობდით, რომ თუ ხელისუფლება სოფლის მოსახლეობას ეხმარება, ჯობია ფული დახარჯოს სოციალური დახმარების სახით. მიწაზე მომუშავე ადამიანი თანხას საჭიროების მიხედვით საკუთარი სურვილით გამოიყენებს.

როდესაც ვაუჩერები დაარიგეს, თითოეულ პროდუქტზე ფასები დაახლოებით 30%-ით გაიზარდა. ამან გამოიწვია ის, რომ როდესაც სახელმწიფომ ამ ტიპის დახმარება შეწყვიტა, ფასები იგივე დარჩა. დღეს სოფლებში მექანიზაციის ცენტრები მოშლილია და მოსახლეობა ვერ სარგებლობს. საერთო ინფლაციის პირობებში კი ყველაფერი გაძვირებულია, – აღნიშნა ჭიაბერაშვილმა.

„ევროპული საქართველოს" წარმომადგენლის თქმით, მისი მთავარი მესიჯი ისაა, რომ სოფლის მეურნეობის მიერ წამოწყებული პროექტები გლეხებს ვერ ეხმარება, რადგან სახელმწიფო ყველას ვერ დაეხმარება. ასეთი გზით მხოლოდ ერთეულებს ეხმარება. ამიტომაა საჭირო გადასახადების დაწევა, რომ მოსახლეობამ შეძლოს მიწის დამუშავება.

რაც შეეხება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პოზიციას საქსტატის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაზე, როგორც სამინისტროდან „კომერსანტს" განუცხადეს, ამ ეტაპზე უწყება საქსტატთან ერთად დეტალების დაზუსტებაზე მუშაობს, რის შემდეგაც სამინისტრო საბოლოო ვერსიას გამოაქვეყნებს.

# სებ: მომხმარებელთა გადამხდელუნარიანობის სრულფასოვანი ანალიზის გარეშე სესხების გაცემა იზღუდება"

მომხმარებელთა ინტერესების დაცვის და კომერციულ ბანკებში ჯანსაღი საკრედიტო პორტფელის ხელშეწყობის მიზნებისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით ცვლილებები შევიდა „კომერციულ ბანკებში კრედიტების კონცენტრაციისა და მსხვილი რისკების შესახებ დებულებაში." ცვლილებებით იზღუდება მომხმარებელთა გადამხდელუნარიანობის სრულფასოვანი ანალიზის გარეშე სესხების გაცემა. კერძოდ, ასეთი სესხების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს კომერციული ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 25%-ს.

შემოსავლის დადასტურების გარეშე საცალო სესხების გაცემის მოტივაციის შემცირება ხელს შეუწყობს საკრედიტო სტანდარტების გაუმჯობესებას საბანკო სექტორში, კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელების ხარისხის გაუმჯობესებას და სოციალური პასუხისმგებლობის მქონე საკრედიტო ურთიერთობების წახალისებას.

აღსანიშნავია, რომ ჯანსაღი საკრედიტო სტანდარტებისა და პასუხისმგებლიანი დაფინანსების წახალისების მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი აქტიურად მუშაობს ჯერ კიდევ 2014 წლიდან.

პროცესი კომერციულ ბანკებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით მიმდინარეობდა. ამასთან, პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პრაქტიკის დამკვიდრების მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკის ჩართულობით, გადადგმულ იქნა ისეთი თანმიმდევრული ნაბიჯები, როგორებიც იყო მაქსიმალური ეფექტური საპროცენტო განაკვეთების შეზღუდვა, მომხმარებელთა უფლებების დაცვის ღონისძიებები (მათ შორის, მომხმარებელთა უფლებების დარღვევების გამო დაჯარიმებების, მომხმარებელთა უფლებების წესების საფინანსო სექტორის წარმომადგენლებზე გავრცელების, დაცულ მომსახურებასთან დაკავშირებული აქტივობები) და დაბალი საკრედიტო სტანდარტების მქონე სესხებისათვის კომერციული ბანკებისათვის კაპიტალის მოთხოვნების ზრდა. ამ უკანასკნელი ღონისძიებით ფიზიკურ პირებზე გაცემული და სტანდარტულად კლასიფიცირებული სესხებისათვის განისაზღვრა „სესხის მომსახურებისა" (ე.წ. PTI _ payment to income ratio) და „სესხის უზრუნველყოფის" (LTV _ Loan to value ratio) კოეფიციენტების მინიმალური მოთხოვნები. შესაბამისად, 2017 წლის 1 დეკემბრიდან გაცემულ სესხებზე, რომლებიც ვერ აკმაყოფილებდნენ PTI-sa da LTV-ის განსაზღვრულ ლიმიტებს, კომერციულ ბანკებს მკვეთრად გაეზარდათ საზედამხედველო ტვირთი კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების კუთხით.




აღნიშნულმა ღონისძიებებმა თავისი დადებითი ეფექტი მოახდინა ბაზრის სტრუქტურასა და დინამიკაზე.

ამასთან, საქართველოს ეროვნული ბანკი აანალიზებდა მოსახლეობის მოწყვლად სეგმენტში ჭარბვალიანობის დინამიკას და მუშაობდა აღნიშნული პრობლემის კომპლექსურად და სისტემურად გადაწყვეტის გზებზე.

ეს საკითხი 2018 წლის მარტში ფინანსური სტაბილურობის კომიტეტმა დეტალურად განიხილა. კერძოდ, ბოლო წლებში შინამეურნეობების დავალიანება მაღალი ტემპით იზრდება, და, რაც არანაკლებ საყურადღებოა, მზარდია იმ ფიზიკური პირების დაკრედიტება, რომელთაც შემოსავლებთან მიმართებაში ვალის მაღალი ტვირთი აქვთ. ასევე, ფინანსურ ინსტიტუტებში ხდება საცალო დაკრედიტების ბიზნესმოდელის ისეთი ცვლილება, რომელიც ნაკლებ ყურადღებას უთმობს შემოსავლების წყაროს და ხდება რისკის მართვისათვის სხვა მახასიათებლებზე ყურადღების გამახვილება. აღნიშნული ხშირად საშუალებას იძლევა მაღალი რისკი აისახოს ფასში, თუმცა მაღალი ფასი არ იწვევს მოწყვლადი ჯგუფებიდან მსგავს პროდუქტებზე მოთხოვნის შემცირებას. აღნიშნული იწვევს მატერიალურ ხარვეზებს პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პრაქტიკის კუთხით. კერძოდ, ხშირ შემთხვევაში, სესხები გაიცემა ისე, რომ არ ხდება მსესხებლის შემოსავლებისა და გადამხდელუნარიანობის სათანადო შესწავლა. ამასთან, ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, მსესხებლების დიდ ნაწილს არ უფიქსირდება დასაქმებით ან სხვა ფორმის წყაროდან მიღებული შემოსავალი, და ასეთი მსესხებლების მნიშვნელოვან ნაწილს უკვე აქვთ მიმდინარე ვადაგადაცილება არსებულ ვალდებულებებზე.

ვალაუვალ მსესხებელს კი, როგორც წესი, ეზღუდება წვდომა საბანკო ანგარიშზე და პოტენციური სამართლებრივი აღსრულების შიშით, უმცირდება ფორმალური დასაქმების მოტივაცია, რაც პრობლემას წარმოადგენს მთლიანად ეკონომიკისთვის. ამასთან, უარესდება მოსახლეობის ამ ნაწილის სოციალური მდგომარეობა.

გამოკვეთილ გამოწვევათა საპასუხოდ, კომიტეტის გადაწყვეტილების შესაბამისად, მიმდინარეობს მუშაობა საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, პასუხისმგებლიანი დაკრედიტების ჩარჩოს დანერგვაზე. მის ფარგლებში, სესხის გაცემისას შემოსავლების შემოწმება გახდება სავალდებულო და ამასთანავე, განისაზღვრება სესხის მომსახურების კოეფიციენტების მაქსიმალური ლიმიტი, რათა მომხმარებელს შეეძლოს კრედიტის გასტუმრება ფინანსური სიძნელეების გარეშე.

მნიშვნელოვანია, რომ მსესხებლის გადამხდელუნარიანობის შეფასების მოთხოვნა ასევე განსაზღვრულია ევროკავშირში მოქმედი იმ დირექტივით (მომხმარებელთა საკრედიტო შეთანხმებების 2008/48/ECდირექტივა), რომელიც, ასოცირების შესახებ შეთანხმება, საქართველომ 2019 წლის სექტემბრამდე უნდა დანერგოს.

აღნიშნული ჩარჩოს ეფექტიანი მუშაობა მოითხოვს საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსა და შემოსავლების შემოწმების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, რაც გარკვეულ დროს საჭიროებს. იქედან გამომდინარე, რომ მიმდინარე პერიოდში შინამეურნეობების დაკრედიტების მაღალი ტემპი ნარჩუნდება, არის საფრთხე, რომ პროცესის დასრულებამდე კიდევ უფრო გაიზარდოს ჭარბვალიანი მსესხებლების რაოდენობა და დაკავშირებულმა რისკებმა ფინანსური სექტორის მდგრად განვითარებას ზიანი მიაყენოს.

შესაბამისად, ეროვნული ბანკის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, პასუხისმგებლიანი დაკრედიტების ჩარჩოს ამოქმედებამდე, რაც ასევე გულისხმობს ევროკავშირში მოქმედ დირექტივასთან სრულად შესაბამისობაში მოსვლას, 2018 წლის 7 მაისიდან კომერციულ ბანკებს შეეზღუდებათ გადამხდელუნარიანობის სრულფასოვანი ანალიზის გარეშე სესხების გაცემა საზედამხედველო კაპიტალის 25%-ზე მეტად.

აღნიშნული შეზღუდვა არ ეხება ძვირფასი ქვებითა და ლითონებით ან უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სესხებს, უზრუნველყოფის ღირებულების ფარგლებში. ამასთან, მსესხებლის გადამხდელუნარიანობის სრულფასოვანი ანალიზის გარეშე უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 15%-ს და სესხის გაცემისას, სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტი (Loan to Value Ratio) არ უნდა იყოს 50%-ზე მეტი.

დამატებით, როგორც ცნობილია, 2018 წელი ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და ფინანსური განათლების წლად გამოაცხადა. ამ გადაწყვეტილების ფარგლებში, ეროვნული ბანკი, მარეგულირებელი ჩარჩოს დახვეწასთან ერთად, მუშაობს საგანმანათლებლო პროექტებსა და საინფორმაციო მასალების გავრცელებაზე, რაც ასევე ხელს შეუწყობს პასუხისმგებლიანი დაკრედიტების დამკვიდრებასა და ჭარბვალიანობის პრობლემის გადაწყვეტას.

# მამუკა ბახტაძე: „მოვუწოდებ ფინანსურ ინსტიტუტებს, გამოვიჩინოთ მაღალი პასუხისმგებლობა"

– მე, როგორც რიგითი მოქალაქე, ვისურვებდი, რომ ბიზნესს საქართველოში სოციალური პასუხისმგებლობის მაღალი დონე ჰქონდეს. მოვუწოდებ ფინანსურ ინსტიტუტებს, გამოვიჩინოთ მაღალი პასუხისმგებლობა, – აღნიშნა ბახტაძემ.

ბახტაძის განცხადებით, „რაც შეეხება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას და ხელშეწყობას, მალე საბაზრო პრინციპებზე მორგებული თამაშის წესები დაფუძნდება. ამაში დამერწმუნეთ, რომ ძალიან პრინციპული ვიქნები. მინდა დაგიდასტუროთ, რომ ჩვენი განწყობა შედეგზე ორიენტირებულია".

ფინანსთა მინისტრი სტარტაპერების საკითხსაც შეეხო და აღნიშნა, რომ ეს სექტორი აუცილებლად წარმატებული იქნება. მისივე განცხადებით, ემიგრანტები ქვეყნის ეკონომიკისთვის დიდი ძალაა და მათი დაბრუნება აუცილებელია.

– სტარტაპერებზე სხვადასხვა მოსაზრებები მოვისმინე. 21-ე საუკუნეში, სადაც მსოფლიო ეკონომიკის მამოძრავებელი ციფრული ეკონომიკაა, როგორ შეიძლება თქვა, რომ ეს სექტორი წარმატებული არ იქნება.



ჩემი ხედვა არის შემდეგი – ემიგრანტები, რომლებიც იძულებულები იყვნენ საქართველო დაეტოვებინათ, დიდი ენერგია და ცოდნაა. რაც მთავარია, მათ აქვთ კონკურენტუნარიანი პროექტები, ჩვენი ამოცანაა, შევქმნათ ისეთი თამაშის წესები, რომელიც საშუალებას მოგვცემს, ისინი ქვეყანაში დავაბრუნოთ. მათ ეკონომიკური საქმიანობა საქართველოში უნდა განახორციელონ, – განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

# ირაკლი ასლანიშვილი: „სასტარტო კაპიტალზე წვდომა გართულებულია, თუმცა ამაში ბანკების ბრალეულობის გამოკვეთა არასწორია"

ბიზნესასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის ირაკლი ასლანიშვილის შეფასებით, საბანკო სექტორი მნიშვნელოვანი ფინანსური ინსტიტუტია, რომელიც ეკონომიკის ძირითადი დამკრედიტებელია.

როგორც რადიო „კომერსანტის" ეთერში, გადაცემაში სალომე სოსელიასთან ერთად ირაკლი ასლანიშვილმა განაცხადა, ეკონომიკის გაძლიერებასა და გაჯანსაღებაში ბანკების როლი უმნიშვნელოვანესია.

– ცალკე საკითხის დაყენება, ბანკი არის თუ არა ეკონომიკის მუხრუჭი, მე ვფიქრობ, რომ კონტექსტიდან ამოღებული შეფასებაა და არ იქნება მართებული საკითხის ასე დაყენება. სასტარტო კაპიტალზე წვდომას განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესში გარკვეულწილად შეფერხებები გააჩნია, მაგრამ ცალსახად ამ



მიმართულებით ბანკების ბრალეულობის გამოკვეთა სწორი არ იქნება. ამას გარკვეულწილად დამატებითი ფინანსური ინსტრუმენტები სჭირდება და ეს ინსტრუმენტები ბანკების გარეთ უნდა ვეძებოთ. ველოდები საბოლოო შეთავაზებას რასაც ფინანსთა სამინისტრო ამზადებს, რა სახის იქნება ამ სასტარტო კაპიტალზე წვდომა, – განაცხადა ირაკლი ასლანიშვილმა

## გორში, წმინდაწყლის დასახლებაში მაგთის ოფისი გატეხეს




გორში, წმინდაწყლის დასახლებაში მაგთის ოფისი გატეხეს. „ნიუპოსტის" კორესპონდენტის ცნობით, შემთხვევა სავარაუდოდ 18 აპრილს გვიან ღამით მოხდა. ოფისიდან მობილური ტელეფონებია წაღებული. როგორც შსს პრესსამსახურში აცხადებენ, გამოძიება ქურდობის მუხლით დაიწყო, რაც 3-დან 5 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

## ივანიშვილის ხეზე ასვლის ფასი — მოსამართლემ ენმ-ს წევრები 250-250 ლარით დააჯარიმა



მოსამართლემ ნაციონალური მოძრაობის წევრები: სოლომონ ბაჯელიძე და რევაზ ხარაზი ადმინისტრაციული წესით სამართალდამრღვევად მიიჩნია და 250-250 ლარით დააჯარიმა.

სალიხ შაინიძის გადაწყვეტილებას დარბაზში ხმაური მოჰყვა.

ნაციონალური მოძრაობის წევრი რეზო ხარაზი, სოლომონ ბაჯელიძესთან ერთად, 4 აპრილს ქობულეთში, სოფელ ხუცუბანში მორიგი გიგანტური ხის გადატანის დროს დააკავეს.

## გორში 15 წლის ბიჭს ავტომობილი დაეჯახა

გორში, ყიფიანის ქუჩაზე 15 წლის ბიჭს მსუბუქი ავტომობილი დაეჯახა, რომელიც სასწრაფო დახმარების ბრიგადამ საავადმყოფოში გადაიყვანა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით დაიწყო.

## შემოსავლების სამსახურმა უაქციზო სიგარეტის ტრანსპორტირების ფაქტი გამოავლინა



17 აპრილს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის მონიტორინგის სამმართველოს აღმოსავლეთის განყოფილების თანამშრომლებმა, თბილისში განხორციელებული სასაქონლო ზედნადების მონიტორინგის მიზნით გატარებული ღონისძიებების შედეგად, აქციზური მარკის სავალდებულო ნიშანდებას ქვემდებარე, უაქციზო სიგარეტის „HEETS" (ჯამში 33,520 ღერი) ტრანსპორტირების ფაქტი გამოავლინეს. ექსპერტიზის დასკვნით, საქონლის საორიენტაციო-საბაზრო ღირებულებამ 14,246 ლარი შეადგინა.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 271-ე მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად, აღნიშნული საქმის მასალები და ჩამორთმეული საქონელი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეცა.

## აჭარასა და გურიაში წიაღის უკანონოდ მომპოვებლები 243.450 ლარით დააჯარიმეს



აჭარასა და გურიაში წიაღის უკანონოდ მომპოვებლები 243.450 ლარით დააჯარიმეს.

— გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის, აჭარისა და გურიის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, მიმდინარე წლის 01 იანვრიდან დღემდე, სათანადო ლიცენზიის გარეშე, წიაღის მოპოვების 195 ფაქტი გამოავლინეს. მათ შორის, ფიზიკური პირი — 186, ხოლო იურიდიული პირი — 9.

2018 წლის 01 იანვრიდან დღემდე, აჭარისა და გურიის რეგიონული სამმართველოს სამოქმედო ტერიტორიაზე, სასარგებლო წიაღისეულის უკანონოდ მოპოვების ფაქტებზე, გარემოსთვის მიყენებული ზიანის თანხამ 2.574 ლარი შეადგინა. ხოლო, სასამართლოს გადაწყვეტილებით, სამართალდამრღვევებს (როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებს) ჯარიმის სახით, ჯამში 243.450 ლარი დაეკისრათ.

იურიდიული პირების მიერ უკანონოდ მოპოვებული წიაღის ოდენობამ 1.174 მ3 შეადგინა, ხოლო ფიზიკურ პირების მიერ უკანონოდ მოპოვებული წიაღის გარემოში დაბრუნება მოხდა, მოპოვების ადგილის მიხედვით, — აღნიშნულია გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

## ტრაგედია ხარაგაულში — ავტომობილი უფსკრულში გადავარდა, გარდაიცვალა ორი მოსწავლე

ავტოსაგზაო შემთხვევა ხარაგაულში — ავტომობილი უფსკრულში გადავარდა, რის შედეგადაც ორი ახალგაზრდა ადგილზე გარდაიცვალა. არსებული ინფორმაციით, ავტომობილში უფროსკლასელი მოსწავლეები ისხდნენ.

შემთხვევა ღამით მოხდა. მომხდარზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეშვიდე ნაწილით მიმდინარეობს.

## საფრანგეთში კრიმინალურ დაჯგუფებასთან ერთად რეპერი კაბუ დააკავეს



ქართველი, ფრანგი და ბერძენი სამართალდამცველების ორწლიანი, აქტიური საპოლიციო თანამშრომლობის შედეგად, ქართველი კანონიერი ქურდების გარდა, საფრანგეთსა და საბერძნეთში ერთდროულად ჩატარებული სპეცოპერაციის დროს, სხვადასხვა სიმძიმის ასობით ქურდობის ფაქტზე, ქართული კრიმინალური დაჯგუფების სხვა წევრებიც დააკავეს.

— საფრანგეთის ქალაქ რენში კი სამართალდამცველებმა დააკავეს 1991 წელს დაბადებული ლევან გოჩიაშვილი, რომელსაც, ასევე, ებარა ე.წ. „ქურდული საერთო".

ასევე, საფრანგეთში დააკავეს: 1974 წელს დაბადებული კახა აბუაშვილი, იგივე „კაბუ", 1963 წელს დაბადებული გოჩა ფოცხიშვილი, 1986 წელს დაბადებული ბექა ახვლედიანი, 1983 წელს დაბადებული ვახტანგ ახვლედიანი, 1962 წელს დაბადებული ლორიტა პაჭკორიანოზაძე, 1969 წელს დაბადებული არსენ ხაჩატრიანი, 1985 წელს დაბადებული ზურაბ აჯამოვი, 1966 წელს დაბადებული კარენ არუთიუნიანი, 1981 წელს დაბადებული მიხეილ ოჩიგავა, 1992 წელს დაბადებული ალექსი სანაძე, 1970 წელს დაბადებული, ელმირა მუსტაფაიევა, — განაცხადეს ბრიფინგზე.

## ცნობილი ქართველი ე.წ. კანონიერი ქურდი ლაშა შუშანაშვილი დააკავეს



ქართველი, ფრანგი და ბერძენი სამართალდამცველების ორწლიანი, აქტიური საპოლიციო თანამშრომლობის შედეგად, ქართველი კანონიერი ქურდების გარდა, საფრანგეთსა და საბერძნეთში ერთდროულად ჩატარებული სპეცოპერაციის დროს, სხვადასხვა სიმძიმის ასობით ქურდობის ფაქტზე, ქართული კრიმინალური დაჯგუფების სხვა წევრებიც დააკავეს.

— ევროპოლთან დაწყებული ეფექტიანი თანამშრომლობის შედეგად, მიმდინარე წლის 16-17 აპრილს, საფრანგეთსა და საბერძნეთში წარმატებით ჩატარდა სპეცოპერაცია სახელად — „ჩაუცასე №ორმანდიე". დაკავებულია ოთხი ქართველი ე.წ. „კანონიერი ქურდი": საბერძნეთის ქალაქ სალონიკში — ე.წ. კანონიერი ქურდი, 1961 წელს დაბადებული ლაშა შუშანაშვილი, მეტსახელად „ლაშა რუსთავსკი"; საფრანგეთის ქალაქ მონტობანში — ე.წ. კანონიერი ქურდი, 1974 წელს დაბადებული ალექსანდრე კობალაძე, იგივე რამაზ ღუღუნიშვილი, მეტსახელად „სიუ". საბერძნეთის ქალაქ ათენში — ე.წ. „კანონიერი ქურდები": 1989 წელს დაბადებული ნოდარ შუკაკიძე, მეტსახელად „ნოდო გლდანსკი" და 1962 წელს დაბადებული მერაბ ასანიძე, მეტსახელად „ჩიკორა".

ქართველი, ფრანგი და ბერძენი სამართალდამცველების ორწლიანი, აქტიური საპოლიციო თანამშრომლობის შედეგად, ქართველი კანონიერი ქურდების გარდა, საფრანგეთსა და საბერძნეთში ერთდროულად ჩატარებული სპეცოპერაციის დროს, სხვადასხვა სიმძიმის ასობით ქურდობის ფაქტზე, ქართული კრიმინალური დაჯგუფების სხვა წევრებიც დააკავეს, — განაცხადეს ბრიფინგზე.

## ქრთამის მიცემის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს

პროკურატურის და შსს-ს თანამშრომლებმა ქრთამის მიცემის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს.

— 2018 წლის 17 აპრილს ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის და შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ერთობლივად გატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქრთამის მიცემის ფაქტზე, ქ.რუსთავში მცხოვრები ლ.ლ. დააკავეს.



გამოძიებით დადგინდა, რომ ლ.ლ. გეგმავდა გარდაბნის რაიონის ტერიტორიაზე გამავალი საირიგაციოდ განკუთვნილი დიდი ოდენობით ლითონის მილების ქურდობას, რაშიც მფარველობის სანაცვლოდ მოლაპარაკება სცადა შსს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის გარდაბნის რაიონული სამმართველოს გაჩიანის განყოფილების უფროსთან და ქრთამის სახით შესთავაზა 20 000 ლარი. დაგეგმილი და განხორციელებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად 2018 წლის 17 აპრილს, თანხის გადაცემის პროცესში მოქალაქე ლ.ლ. დაკავებული იქნა ბრალდებულის სახით.

სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 339-ე მუხლის მეორე ნაწილით, რაც სასჯელის სახედ და ზომად 4-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. საქართველოს პროკურატურა კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს სასამართლოს, ბრალდებულ ლ.ლ-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობით, — აღნიშნულია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

## „კიდევ ერთი გადაწყვეტილება გვექნება საქართველოს წინააღმდეგ"



ე.წ. კორტების საქმეზე მსჯავრდებულები ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოში გასაგზავნ საჩელს სახალხო დამცველის 2017 წლის ანგარიშს დაურთავენ, სადაც უჩა ნანუაშვილი საქმის მთავარი მოწმეების, 11 სპეცრაზმელის სასამართლოში დაკითხვის წინა დღეს ერთ საკანში მოთავსებას კანონდარღვევად აფასებს და ზოგადად, აღნიშნულ საქმეზე გადაცდომებზე მიუთითებს.

ადვოკატი მალხაზ ველიჯანაშვილი დარწმუნებულია, რომ სტრასბურის სასამართლო კიდევ ერთხელ, ამჯერად ე.წ. კორტების საქმეზე კანონდარღვევას დაადგენს და შეცვლის ქართული სასამართლოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას.

უფლებადამცველი მოუწოდებს შესაბამის სტრუქტურებს, სახალხო დამცველის მკაცრი რეკომენდაციები გაითვალისწინოს და რეაგირება მოახდინონ.

ველიჯანაშვილის თქმით, სასამართლოში დაკითხვამდე სპეცრაზმელებს ჩვენებების შეთანხმების საშუალება ჰქონდათ. საბოლოოდ კი და მათ მიერ მიცემული ჩვენებები ირაკლი ფირცხალავასა და გიორგი ცააძის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის მთავარი საფუძველი გახდა.

— სახალხო დამცველის ანგარიში არის სრულიად ობიექტური, ძალიან მკაცრი და მიმაჩნია, რომ სახელმწიფომ ამ საკითხზე რეაგირება უნდა მოახდინოს. ომბუდსმენი პირდაპირ მიუთითებს ისეთ ფუნდამენტურ დარღვევებზე, რაზეც ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოს, სხვადასხვა გახმაურებული საქმის შესახებ ძალიან მკაცრი გადაწყვეტილებები აქვს მიღებული. სპეცრაზმელები, რომლებიც უშუალოდ მოწმეები არიან, ისინი ჩვენების მიცემამდე ერთ საკანში ისხდნენ. სტრასბურის სასამართლო და ამ შემთხვევაში ომბუდსმენიც ამბობს, რომ ეს არის კანონდარღვევა და დაუშვებელი. ეს ხალხი (მსჯავრდებულები) უკვე ასაჩივრებს საქართველოს სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას სტრასბურში და კიდევ ერთი გადაწყვეტილება გვექნება საქართველოს წინააღმდეგ. სახელმწიფომ ყველა ღონე უნდა იღონოს, რომ ეს დარღვევა აღმოიფხვრას, დაიწყონ გამოძიება, ახალი განხილვა დაიწყონ და სხვა, — განუცხადა „ნიუპოსტს" ველიჯანაშვილმა.

2017 წლის 21 ივნისს საქალაქო სასამართლომ გიორგი ცააძესა და ირაკლი ფირცხალავას 12-12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. უზენაესმა სასამართლომ კი მსჯავრდებული ადვოკატების საკასაციო საჩივარი დაუშვებლად ცნო.

## ნუგზარ წიკლაური კორცხელის ინციდენტთან დაკავშირებით ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში დაიკითხა



ნუგზარ წიკლაური კორცხელის ინციდენტთან დაკავშირებით ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში დაიკითხა. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი ნუგზარ წიკლაური კორცხელის ინციდენტთან დაკავშირებით ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში დაიკითხა.

ნუგზარ წიკლაურმა 2016 წლის 22 მაისს სოფელ კორცხელში შუალედური არჩევნების მიმდინარეობისას მომხდარი პოლიტიკურ ოპონენტებზე თავდასხმად შეაფასა.

ნუგზარ წიკლაურმა კორცხელში საარჩევნო უბანთან მომხდარი დაპირისპირება ორ ეპიზოდად დაყო. წიკლაურის თქმით, პირველად სიტყვიერი დაპირისპირება იყო, რომელიც მალევე განიმუხტა, თუმცა შემდეგ 15-20-მდე ადამიანის თავდასხმა მშვიდობიან მოქალაქეებზე განხორციელდა.

— კორცხელში მე ვიყავი დამკვირვებელი. ვიმყოფებოდი საარჩევნო უბანთან, როდესაც დაიწყო სიტყვიერი დაპირისპირება. ეს ხდებოდა საარჩევნო უბნის შემოსასვლელთან, ეზოს ჭიშკართან. რადგან ვიყავი შორს, ვერ დავინახე, ვინ ვის დაუპირისპირდა, თუმცა დაპირისპირებამდე უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ როგორც „ნაციონალური მოძრაობის", ასევე „ქართული ოცნების" მხარდამჭერები. მათ შორის ინციდენტის დაწყებამდეც შეიმჩნეოდა დაძაბულობა. სპორტსმენები, რომლებიც ამ დაპირისპირებაში მონაწილეობდნენ, მე ზუგდიდში წინა დღესაც ვნახე და გამიკვირდა, რადგან ისინი არ ჰგავდნენ ადგილობრივებს. ეს ინციდენტი იყო ორგანიზებული თავდასხმა პოლიტიკოსებზე, სახელმწიფოზე და დემოკრატიაზე, — აღნიშნა წიკლაურმა სხდომაზე.

2016 წლის 22 მაისს, შუალედურ არჩევნებში, კორცხელის საარჩევნო უბანთან, სპორტსმენები და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ლიდერები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. დაზიანებები მიიღო რამდენიმე მათგანმა, მათ შორის, დიმა ლაშხიამ, რომელიც ზუგდიდის რეფერალურ საავადმყოფოში იყო გადაყვანილი.

## საუდის არაბეთი მზადაა, სირიაში ჯარი გაგზავნოს

საუდის არაბეთი მზადაა, სირიაში სამხედრო კონტინგენტი გაგზავნოს. ამის თაობაზე გაეროს გენერალური მდივანი გუტერეში იუწყება.



ტრამპი არაბულ ქვეყნებთან და მათ შორის საუდის არაბეთთანაც ინტენსიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს.

ტრამპს სირიაში დისლოცირებული 2.000 ჯარისკაცის შინ დაბრუნება უნდა. ამავე დროს მას ეშინია, რომ ამით სირიაში „უსაფრთხოების ვაკუუმი" შეიქმნება.

აშშ-ის კონგრესის უმრავლესობა სირიიდან ჯარის გამოყვანის წინააღმდეგია. ტრამპს ჯარის გამოყვანის საკითხში არც მისი უახლოესი გარემოცვა უჭერს მხარს.

## რუსეთმა ლიტვის საზღვარი დაარღვია

რუსეთის სასაზღვრო გემი ლიტვის ტერიტორიულ წყლებში შევიდა. რუსულმა გემმა ლიტვის ტერიტორიულ წყლებში დაახლოებით ორი წუთი დაჰყო, შემდეგ თავის ტერიტორიაზე დაბრუნდა.



ლიტველებმა რუსეთის მიერ საზღვრის დარღვევის ფაქტი დააფიქსირეს. ლიტვის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მოსკოვს საპროტესტო ნოტა გადასცა.

## ბარბარა ბუში გარდაიცვალა

92 წლის ასაკში გარდაიცვალა აშშ-ის პირველი ლედი 1989-93 წლებში, ჯორჯ– ბუშ უფროსის მეუღლე ბარბარა ბუში.



ამან მთელი ამერიკა გულწრფელად შეაწუხა. ბარბარა ბუში ჯერ კიდევ პირველ ლედიდ ყოფნისას გამოირჩეოდა თვითკრიტიკით, თავმდაბლობით, ინტელექტითა და ერუდიციით. ამიტომ მან საყოველთაო პატივისცემა დაიმსახურა.

ბარბარა ბუში აშშ-ის პრეზიდენტის ჯორჯ ბუშ-უფროსის მეუღლე, აგრეთვე მეორე პრეზიდენტის ჯორჯ ბუშ-უმცროსის დედაა. აშშ-ის ისტორიაში ასეთი შემთხვევა მხოლოდ ერთხელ მოხდა, როცა ებიგეილ ადამსის ჯერ მეუღლე, შემდეგ კი ვაჟი პრეზიდენტები გახდნენ.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## დონალდ ტრამპი იაპონიის პრემიერს შეხვდა, მაიკ პომპეო — კიმ ჩენ ინს



აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა თავის რეზიდენციაში იაპონიის პრემიერი მიიღო. მოლაპარაკებების ძირითადი თემა ჩრდილოეთ კორეა და მის გარშემო შექმნილი მდგომარეობა იყო.

– ჩვენ და იაპონელებს ჩრდილოეთ კორეასთან მიმართებაში ერთიანი პოზიცია გაგვაჩნია, – თქვა ტრამპმა.

ფხენიანს მაიკ პომპეოც ეწვია. ის ჩრდილოეთ კორეის დიქტატორს კიმ ჩენ ინს საიდუმლოდ ესაუბრა.

ეს ინფორმაცია ტრამპმა დაადასტურა.

„გასულ კვირას მაიკ პომპეო ჩრდილოეთ კორეაში კიმ ჩენ ინს შეხვდა. შეხვედრამ კარგად ჩაიარა და კარგი ურთიერთობაც ჩამოყალიბდა. სამიტის დეტალები ახლა დამუშავების სტადიაზეა. დენუკლეარიზაცია მაგარი რამე იქნება არა მხოლოდ მსოფლიოსთვის, არამედ ჩრდილოეთ კორეისთვისაც!" – დაწერა აშშ-ის პრეზიდენტმა „ტვიტერის" საკუთარ გვერდზე.

## ერდოღანმა თურქეთში ვადამდელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები გამოაცხადა



თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა ქვეყანაში ვადამდელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები გამოაცხადა.

თურქეთის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები ამა წლის 24 ივნისს გაიმართება.

თურქეთის პრეზიდენტმა ვადამდელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების ჩატარების გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც ოპოზიციური „ნაციონალისტური მოძრაობის პარტიის" ლიდერს დევლეთ ბაჰჩელის შეხვდა, რომელმაც 17 აპრილს ვადამდელი არჩევნების ჩატარების მოწოდება გააკეთა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებას ასევე მხარს უჭერს თურქეთის მთავარი ოპოზიციური „რესპუბლიკური სახალხო პარტიის" ლიდერი ქემალ ქილიჩდაროღლუ.

აღსანიშნავია, რომ რეფერენდუმზე მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებები, რომლებიც აძლიერებენ პრეზიდენტის ინსტიტუტს, მხოლოდ ახალი საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ამოქმედდება.

თურქეთში საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები 2019 წლის ნოემბერში უნდა ჩატარებულიყო.

## ანგელა მერკელი ვლადიმერ პუტინს დაუკავშირდა



შედგა გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელისა და რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის სატელეფონო საუბარი. ის ძირითადად სირიაში შექმნილ მდგომარეობას და პროექტ „ჩრდილოეთის ნაკადის" განხორციელების პრობლემებს მიეძღვნა.

პუტინმა სირიაზე სამხედრო დარტყმა დაგმო. თავის მხრივ მერკელმა აღნიშნა, რომ ასადმა საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ქიმიური იარაღი გამოიყენა.

– ამაზე თვალის დახუჭვა შეუძლებელია, – თქვა მერკელმა.

რაც შეეხება პროექტის „ჩრდილოეთის ნაკადის" განხორციელებას, მერკელმა აღნიშნა, რომ უკრაინის, როგორც ტრანზიტიორი ქვეყნის, ინტერესები გათვალისწინებული უნდა იყოს. პუტინმა ამაზე მიუგო, რომ უკრაინა საიმედო პარტნიორი არაა.

– სანამ უკრაინის ფედერალიზაცია არ მოხდება, ომი არ დამთავრდება. მშვიდობის აღდგენის გარეშე კი უკრაინის რაიმე ფუნქციაზე საუბარი უნაყოფოა, – თქვა პუტინმა.

## განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების თავიდან აცილება, ნერვული სისტემის და ღვიძლის პრობლემების ნორმალიზება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით, ტელ: 599-25-44-14 ექიმი მზია, 218-48-99 (სამსახ.). მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი".

● პოტენციის დაქვეითებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციების ნორმალიზება, პროსტატის ჯირკვლისა და შარდვის პროცესების მოწესრიგება, ბაქტერიულ-სოკოვან ინფექციათა საწინააღმდეგო მოქმედება იმუნიტეტის გაძლიერებით, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან უჯრედულ დონეზე. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით. ტელ: 595-293-299; 218-46-08 (სამსახ.) ექიმი ინგა. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი".

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-5 სმ-ის მომატებით ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით+ვარჯიშები. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე გახდომა 5-15 კგ თვეში რაციონის შეუცვლელად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, სწრაფად და ეფექტურად. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი".

● ძვლის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება – კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ართრიტის დროს. დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის ნორმალიზება მცენარეული საშუალებებით, საუკეთესო შედეგით. ტკივილისა და შებოჭილობის სინდრომის შემცირება უკუჩვენების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი".

● ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის" დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი,პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა,ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი,ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 225 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას"); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## „ისლამური სახელმწიფოს" 212 წევრს ერაყში სიკვდილი მიუსაჯეს

ერაყის სასამართლომ გუშინ, 18 აპრილს, „ისლამური სახელმწიფოს" 212 წევრს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა.

სასამართლოს წარმომადგენლის, აბდულ სათარ ბაირაქდარის თქმით, მას შემდეგ, რაც ტერორისტული დაჯგუფება განდევნეს ქალაქ მოსულიდან, „ისლამურ სახელმწიფოსთან" კავშირის გამო 815 ადამიანი იყო ეჭვმიტანილი. მათგან 150-ს სამუდამო პატიმრობა მიესაჯა, 341-ს პატიმრობა სხვადასხვა ვადით, 112 გაათავისუფლეს.

შარშან ერაყის ძალებმა ქალაქი მოსული „ისლამური სახელმწიფოსგან" გაათავისუფლეს.

# თორნიკე გორგიაშვილი: „გოლის დროს აქცენტი სიზუსტეზე გავაკეთე“

გამოცდილი ფეხბურთელი თორნიკე გორგიაშვილი საბურთალოს სეზონის დასაწყისში შეუერთდა და გუნდის ერთ-ერთი ლიდერია. 30 წლის ნახევარმცველმა ეროვნული ლიგის გასულ ტურში, დინამოსთან დედაქალაქურ დერბიში გატანილი შესანიშნავი გოლით თავისიანებს მნიშვნელოვანი 3 ქულა მოაპოვებინა.

**თორნიკე გორგიაშვილი:**

– დინამოსთან, რა თქმა უნდა, რთულ თამაშს ველოდით. ვფიქრობ, ერთსულოვნებისა და უფრო მეტი მონდომების ხარჯზე მოვახერხეთ მიზნის მიღწევა. ძალიან გვსურდა თბილისურ დერბიში გამარჯვება, ამასთანავე ჩვენ და დინამო უშუალო კონკურენტები ვართ. ზოგიერთი ადამიანისგან გაგონილი მქონდა, რომ ჩვენი პირველი ადგილი დროებითი იყო. ჩვენ ვაჩვენეთ, რომ ის პოზიცია, რომელიც საბურთალოს ცხრილში უკავია, არ არის შემთხვევითი. დინამოსთან მატჩამდე ლოკომოტივთან დავმარცხდით, არადა მანამდე ასპროცენტიანი შედეგით მივდიოდით. კარგია, რომ „რკინიგზელებთან“ წაგება მალევე დავივიწყეთ და მოვახერხეთ 3 ქულის აღება.

***– გოლის ეპიზოდს როგორ გაიხსენებთ?***

– ბურთის მიღებისას მქონდა იმის დრო, რომ მდგომარეობა შემეფასებინა. უცებ რაც გავიფიქრე იყო ის, რომ ბურთი გამეგზავნა კარში. თავი რომ ავწიე, სიზუსტეზე გავაკეთე აქცენტი და საბოლოოდ ლამაზი გოლი გამოვიდა. ძალიან გამიხარდა, თან გამარჯვების მომტანი გოლი გამოდგა.



***– საბურთალოს ბურთის კონტროლი უყვარს და მეტოქეებთან პირველ ნომრად თამაშობს, თუმცა დინამოსთან ბურთის ფლობის უკეთესი მაჩვენებელი მეტოქეს ჰქონდა. რა იყო ამის მიზეზი?***

– მოწინააღმდეგე საკუთარ კედლებში თამაშობდა და, ბუნებრივია, პირველ ნომრად თამაში სურდა. ამავდროულად, საკმაოდ ძლიერ მოწინააღმდეგეს ვეთამაშებოდით, რომელიც ასევე შემტევ და სწრაფ ფეხბურთს თამაშობს. სიმართლე გითხრათ, მათი თამაში ძალიან მომეწონა, აშკარად ჩანს, რომ პროგრესირებენ. დედაქალაქურ დერბიში დინამომ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ჩვენი მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა მაშინ, როდესაც მოედანზე კაცნაკლულები დავრჩით – ბოლო 20 წუთი უმცირესობაში გავატარეთ. კონტრშეტევებზე ვთამაშობდით და ძირითადად ანგარიშის შენარჩუნებას ვცდილობდით.

***– საბურთალოსგან ასეთ სტარტს თუ ელოდით?***

– საბურთალოს პროგრესი და წინსვლა აშკარად შესამჩნევია. კლუბში ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა ირიცხება, რომელიც აკადემიის აღზრდილია. ამავდროულად, საბურთალომ წლეულს რამდენიმე ფეხბურთელი დაიმატა. ამ ყველაფერს დავუმატოთ მთავარი მწვრთნელის, გიორგი ჭიაბრიშვილის ფაქტორი, რომელსაც ყოველთვის დიდი მიზნები და გეგმები აქვს. მოხარული ვარ, რომ ჩემი მოკრძალებული წვლილი შემაქვს საბურთალოს წარმატებაში. ეს შედეგი მოულოდნელი ნამდვილად არ არის, მოულოდნელი ქვედა პოზიციებზე ყოფნა იქნებოდა.

***– 6 ტური მიილია და გარკვეული წარმოდგენა შეგექმნებოდათ ჩემპიონატზე. შეადარეთ გასული და წლევანდელი ეროვნული ლიგა?***

– ადვილი თამაშები არ არსებობს, ყველა მოტივირებულია. ეროვნული ლიგა ნელ-ნელა ძალებს იკრებს, უფრო ყურებადი ხდება. კარგია, რომ ბუნებრივსაფრიან მოედნებზე გვიწევს თამაში, ეს ფაქტორი ხელს უწყობს, რომ გუნდებმა სწრაფად ითამაშონ.

***– ეროვნული პირველობა მარათონულია, კლუბებს ჩემპიონატში 36 თამაშის ჩატარება უწევთ. რა არის იმისათვის საჭირო, რომ პირველობის ბოლომდე საბურთალომ ადგილი შეინარჩუნოს?***

– მთავარი ფეხბურთელების ჯანმრთელობაა. თუ ყველანი კარგად ვიქნებით, ვფიქრობ, ჩვენი მიზნები შესრულდება. გვაქვს დიდი სათადარიგოთა სკამი, რომლის გარეშეც წარმატებაზე ფიქრი წარმოუდგენელია. ჩემპიონატის შეხვედრების გარდა, არის სათასო მატჩებიც, სადაც ასევე კარგად უნდა წარმოვაჩინოთ თავი. დღესდღეობით საბურთალოში არიან ფეხბურთელები, რომლებსაც ჯერჯერობით არ მისცემიათ თამაშის შესაძლებლობა, რადგან კლუბში დიდი კონკურენციაა. ღმერთის წყალობით ჯერ ყველაფერი კარგადაა, სასიამოვნო ატმოსფერო სუფევს. ამდენი ფეხბურთელი ერთ მუშტად შეკრული ზესტაფონის მერე არ მინახავს. მიხარია ვარჯიშზე მისვლა, თანაგუნდელების და მეგობრების ნახვა. აქედან გამომდინარეა, რომ ახალ კლუბში ადაპტაცია იოლად გავიარე. კლუბში რომ ასეთი ერთსულოვნება სუფევს, ეს ყველაფერი მთავარი მწვრთნელის და მისი გუნდის დამსახურებაა.

## კალათბურთის ფედერაციის ყრილობამ ორი საკითხი დაამტკიცა



ოლიმპიურ სასახლეში საქართველოს კალათბურთის ფედერაციის საერთო ყრილობა გაიმართა, რომელსაც არსებული 34 დელეგატიდან 32 დელეგატი დაესწრო. ყრილობის მოწვევის მთავარი მიზანი კალათბურთის ფედერაციის წესდების ახალი რედაქციის დამტკიცება გახლდათ.

წესდების ახალი რედაქციის მიღებამდე, ყრილობის დელეგატებმა დეტალურად განიხილეს მასში შესატანი ცვლილებები და ერთმანეთში მოსაზრებები შეაჯერეს. წესდების ახალმა რედაქციამ დელეგატთა 82-პროცენტიანი მხარდაჭერა მიიღო და ის ოფიციალურად იქნა მიღებული.

მეორე საკითხი, რომელზეც ყრილობის წევრებმა იმსჯელეს და გადაწყვეტილება მიიღეს, ფედერაციის გამგეობის წევრთა რაოდენობის გაზრდა გახლდათ. გასული წლის დეკემბერში, როცა კალათბურთის ფედერაციის საარჩევნო-საანგარიშო ყრილობა ჩატარდა და პრეზიდენტად პაატა გურასპაული აირჩიეს, ფედერაციის ახალმა ხელმძღვანელმა ყრილობას დასამტკიცებლად გამგეობის 11 წევრის კანდიდატურა წარუდგინა და განაცხადა, რომ უახლოეს ყრილობაზე მათი რაოდენობის გაზრდის საკითხი დადგებოდა.

გასულ დეკემბერს გამგეობა 11-კაციანი შემადგენლობით დამტკიცდა, ხოლო დღევანდელ ყრილობაზე მას კიდევ 4 წევრი დაემატა. კენჭისყრაზე გამგეობისთვის ახალი კანდიდატურების დამატებას დელეგატთა 85 პროცენტმა დაუჭირა მხარი. ფედერაციის პრეზიდენტის განცხადებით, გამგეობა 15 წევრის შემადგენლობით ორ დღეში შეიკრიბება, თავმჯდომარეს აირჩევს და სამუშაო პრიორიტეტებს დასახავს. ახალ წესდებაში განსაზღვრულია, რომ ფედერაციის გამგეობა თვეში მინიმუმ ერთხელ უნდა შეიკრიბოს.

## ბათუმი საჭადრაკო ოლიმპიადისთვის მზადებას იწყებს

სასტუმრო „ბილტმორის“ კონგრეს-ჰოლში მსოფლიოს 43-ე საჭადრაკო ოლიმპიადის – ბათუმი 2018 წარდგენა გაიმართა.



საჭადრაკო ოლიმპიადის მნიშვნელობაზე ისაუბრეს საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ ზურაბ პატარაძემ, ევროპის საჭადრაკო კავშირის პრეზიდენტმა ზურაბ აზმაიფარაშვილმა, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა გიორგი გიორგაძემ და მსოფლიოსა და საჭადრაკო ოლიმპიადების არაერთგზის გამარჯვებულმა, ოლიმპიადის კეთილი ნების ელჩმა ნონა გაფრინდაშვილმა.

ღონისძიებას საპატიო სტუმრის სტატუსით დაესწრო საჭადრაკო ოლიმპიადის კეთილი ნების ელჩი, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი და მსოფლიოს ჩემპიონი სწრაფ ჭადრაკში ვიშვანათან ანანდი. და ფიდე-ს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი გეორგიოს მაკროპულოსი.

წარდგენას ესწრებოდნენ სამთავრობო სტრუქტურებისა და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, სახელოვანი მოჭადრაკეები, ვეტერანი ქართველი სპორტსმენები და ოლიმპიური ჩემპიონები, კულტურის სფეროსა და ბიზნესსექტორში წარმატებული ადამიანები, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელმძღვანელები, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და სხვადასხვა სპორტული ფედერაციების პრეზიდენტები და 43-ე საჭადრაკო ოლიმპიადის ქართველი კეთილი ნების ელჩები.

ოფიციალური ნაწილის დასრულების შემდგომ, სტუმრებმა საჭადრაკო ოლიმპიადის სურვილების დაფაზე სამახსოვრო მინაწერები დატოვეს, სასტუმროს ფოიეში მოწყობილ სივრცეში საჩვენებელი საჭადრაკო პარტიები გამართეს და საგანგებოდ ამ დღისთვის დამზადებული ფოტოგამოფენა დაათვალიერეს.

43-ე საჭადრაკო ოლიმპიადა ბათუმში 23 სექტემბრიდან 6 ოქტომბრამდე გაიმართება. უდიდეს სპორტულ ფორუმზე დასასწრებად საქართველოს 189 ქვეყნის 4.000-მდე სტუმარი ეწვევა.

## ესპანელი მორაგბეები დასაჯეს



სარაგბო სამყაროში დიდი აჟიოტაჟი მოყვა ევროპის ერთა თასზე ბელგია-ესპანეთის (18:10) შეხვედრას. როგორც მოგეხსენებათ, ბრიუსელში მსაჯი რუმინელი ვლად იორდაჩესკუ იყო, რომელსაც მატჩის შემდეგ ესპანელმა მორაგბეებმა მიკერძოებაში დადეს ბრალი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

„რაგბი ევროპამ“ ამ საკითხზე იმსჯელა და ესპანეთის ნაკრების მორაგბეები რამდენიმეკვირიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა.

გიიო რუე 36 კვირას გამოტოვებს, კიდევ უფრო მძიმე სასჯელი აქვს სებასტიან რუეს – 43 კვირა, ხოლო 14-14 კვირით ვერ ითამაშებენ – პიერ ბარტერტი, ლუკას გიომი და მატიე ბელი.

ესპანელებს გადაწყვეტილების გასაჩივრება 7 დღის განმავლობაში შეეძლებათ.

შეგახსენებთ, რომ ბელგია-ესპანეთის მატჩის შედეგმა პირდაპირი გავლენა იქონია რუმინეთის ნაკრებზე, რომელიც მსოფლიო თასზე გავიდა. სწორედ ამის გამო იყვნენ აღშფოთებულნი პირენეელი მორაგბეები, რომლებიც რუმინელ მსაჯს გაუსწორდნენ.

აღსანიშნავია, რომ საბოლოოდ ჯერ არაა ცნობილი, მოხდება თუ არა ბელგია-ესპანეთის მატჩის გადათამაშება, რომლის შესახებ „მსოფლიო რაგბიმ“ უნდა იმსჯელოს.

## შედეგები

### 17 აპრილი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ბრაიტონი-ტოტენჰემი .................. 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 33 | 28 | 3 | 2 | 93-25 | 87 |
| 2.მანჩესტერი | 33 | 22 | 5 | 6 | 63-26 | 71 |
| 3.ლივერპული | 34 | 20 | 10 | 4 | 78-35 | 70 |
| 4.ტოტენჰემი | 34 | 20 | 8 | 6 | 66-31 | 68 |
| 5.ჩელსი | 33 | 18 | 6 | 9 | 57-33 | 60 |
| 6.არსენალი | 33 | 16 | 6 | 11 | 62-45 | 54 |
| 7.ბარნლი | 33 | 14 | 10 | 9 | 33-29 | 52 |
| 8.ლესტერი | 33 | 11 | 10 | 12 | 49-47 | 43 |
| 9.ევერტონი | 34 | 11 | 9 | 14 | 39-54 | 42 |
| 10.ნიუკასლი | 33 | 11 | 8 | 14 | 35-42 | 41 |
| 11.ბორნმუთი | 34 | 9 | 11 | 14 | 41-56 | 38 |
| 12.უოტფორდი | 34 | 10 | 7 | 17 | 42-60 | 37 |
| 13.ბრაიტონი | 34 | 8 | 12 | 14 | 32-47 | 36 |
| 14.ჰადერსფილდი | 34 | 9 | 8 | 17 | 27-54 | 35 |
| 15.ვესტ ჰემი | 33 | 8 | 11 | 14 | 41-59 | 35 |
| 16.კრ.პალასი | 34 | 8 | 10 | 16 | 36-54 | 34 |
| 17.სუონსი | 33 | 8 | 9 | 16 | 27-46 | 33 |
| 18.საუთჰემპტონი | 33 | 5 | 13 | 15 | 33-53 | 28 |
| 19.სტოკი | 34 | 6 | 10 | 18 | 31-64 | 28 |
| 20.ვესტ ბრომვიჩი | 34 | 4 | 12 | 18 | 27-52 | 24 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

დეპორტივო-სევილია .................... 0:0
სელტა-ბარსელონა ....................... 2:2
ვილიარეალი-ლეგანესი ................. 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 33 | 25 | 8 | 0 | 83-19 | 83 |
| 2.ატლეტიკო | 32 | 21 | 8 | 3 | 54-15 | 71 |
| 3.რეალი | 32 | 20 | 7 | 5 | 79-35 | 67 |
| 4.ვალენსია | 32 | 20 | 5 | 7 | 60-33 | 65 |
| 5.ბეტისი | 32 | 16 | 4 | 12 | 53-53 | 52 |
| 6.სევილია | 33 | 14 | 6 | 13 | 41-52 | 48 |
| 7.ვილიარეალი | 32 | 14 | 6 | 12 | 43-39 | 48 |
| 8.ხირონა | 32 | 12 | 8 | 12 | 44-49 | 44 |
| 9.სელტა | 33 | 12 | 8 | 13 | 52-46 | 44 |
| 10.ხეტაფე | 32 | 11 | 9 | 12 | 36-30 | 42 |
| 11.სოსიედადი | 32 | 11 | 7 | 14 | 57-52 | 40 |
| 12.ეიბარი | 32 | 11 | 7 | 14 | 36-46 | 40 |
| 13.ბილბაო | 32 | 9 | 12 | 11 | 35-38 | 39 |
| 14.ლეგანესი | 32 | 11 | 6 | 15 | 27-39 | 39 |
| 15.ალავესი | 32 | 12 | 2 | 18 | 29-45 | 38 |
| 16.ესპანიოლი | 32 | 8 | 12 | 12 | 26-39 | 36 |
| 17.ლევანტე | 32 | 6 | 13 | 13 | 28-48 | 31 |
| 18.დეპორტივო | 33 | 6 | 9 | 18 | 32-65 | 27 |
| 19.ლას პალმასი | 32 | 5 | 6 | 21 | 22-64 | 21 |
| 20.მალაგა | 32 | 4 | 5 | 23 | 20-50 | 17 |

**გერმანია. თასი**

ლევერკუზენი-ბაიერნი ................. 2:6

**იტალი. სერია ა**

ინტერი-კალიარი ......................... 4:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 32 | 27 | 3 | 2 | 77-18 | 84 |
| 2.ნაპოლი | 32 | 24 | 6 | 2 | 66-21 | 78 |
| 3.ინტერი | 33 | 17 | 12 | 4 | 54-22 | 63 |
| 4.ლაციო | 32 | 18 | 7 | 7 | 75-40 | 61 |
| 5.რომა | 32 | 18 | 7 | 7 | 50-26 | 61 |
| 6.მილანი | 32 | 15 | 8 | 9 | 43-36 | 53 |
| 7.ფიორენტინა | 32 | 14 | 9 | 9 | 44-33 | 51 |
| 8.ატალანტა | 32 | 13 | 10 | 9 | 47-34 | 49 |
| 9.სამპდორია | 32 | 14 | 6 | 12 | 50-49 | 48 |
| 10.ტორინო | 32 | 11 | 13 | 8 | 46-38 | 46 |
| 11.ბოლონია | 32 | 11 | 5 | 16 | 37-43 | 38 |
| 12.ჯენოა | 32 | 10 | 8 | 14 | 25-31 | 38 |
| 13.უდინეზე | 32 | 10 | 3 | 19 | 40-50 | 33 |
| 14.კალიარი | 33 | 9 | 5 | 19 | 30-56 | 32 |
| 15.სასუოლო | 32 | 7 | 10 | 15 | 23-53 | 31 |
| 16.კიევო | 32 | 7 | 9 | 16 | 29-51 | 30 |
| 17.სპალი | 32 | 5 | 13 | 14 | 30-52 | 28 |
| 18.კროტონე | 32 | 7 | 6 | 19 | 29-57 | 27 |
| 19.ვერონა | 32 | 7 | 4 | 21 | 26-64 | 25 |
| 20.ბენევენტო | 32 | 4 | 2 | 26 | 28-75 | 14 |

**იტალია. სერია ბ**

აველინო-ფროზინონე ................... 0:2
ბარი-ნოვარა ............................... 1:1
ვენეცია-ვირტუსი ......................... 2:0
კარპი-პერუჯა .............................. 1:2
კრემონეზე-სალერნიტანა ............. 1:1
პრო ვერჩელი-პესკარა ................. 3:1
სპეცია-ბრეშა ............................... 0:1
ტერნანა-ფოჯა .............................. 2:2
ჩეზენა-ემპოლი ............................ 2:3
ჩიტადელა-პალერმო ..................... 0:0

**ჰოლანდია. ერედივიზიონი**

ტვენტე-ზვოლე ............................. 2:0
ჰერენვენი-დენ ჰააგი ................... 2:0

**ბელგია. ა დივიზიონი**

გენტი-გენკი ................................. 0:0
კორტრაიკი-ლეუვენი .................... 2:1
ლიერსი-ვარეგემი ........................ 1:4
მუსკრონი-ბევერენი ..................... 1:1

**დანია. სუპერლიგა**

ჰელსინგერი-ორხუსი .................... 1:0

**შვედეთი. ალსვენსკა**

სუნდსვალდი-ტრელებორგი ......... 1:0

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# ქართველმა ჰოკეისტებმა ბულგარეთიც დაამარცხეს

საქართველოს ჰოკეისტთა ეროვნულმა ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატის მე-3 დივიზიონში მე-2 მატჩი მოიგო და ზედა ეშელონში აღზევების უმთავრესი კანდიდატი გახდა.



ქართველმა ჰოკეისტებმა სამხრეთ აფრიკაში მიმდინარე ტურნირის უმთავრეს ფავორიტ ბულგარეთს 5:3 სძლიეს და შეჯიბრის მოგებისკენ დიდი ნაბიჯი გადადგეს.

საქართველოს ნაკრების რიგებში დუბლის შესრულება არტიომ კოზულინმა (პლუს ერთი პასი) და ალექსანდერ ვასილჩენკომ მოახერხეს, 1 შაიბა კი არტიომ კურბატოვმა გაიტანა.

შეგახსენებთ, რომ ქართველმა ჰოკეისტებმა გუშინ თურქეთს 6:2 მოუგეს, ამდენად, ამ დროისთვის სატურნირო ცხრილის სათავეში იმყოფებიან.

მსოფლიოს ჩემპიონატის მე-2 დივიზიონში მხოლოდ საუკეთესო გადავა, ქართველ ჰოკეისტებს კი აფრიკაში კიდევ 3 მატჩი აქვთ ჩასატარებელი: 19 აპრილს ჰონგ კონგთან, 20-ში – სამხრეთ აფრიკასთან და 22-ში – ტაივანთან.

# ყაზახეთი საქართველომდე აზერბაიჯანს გაეჯიბრება

უეფას ერთა ლიგაში საქართველოს ნაკრების მეტოქე ყაზახეთის მთავარმა მწვრთნელმა სტანიმირ სტოილოვმა აზერბაიჯანთან ამხანაგური მატჩი დაგეგმა. გუნდები ერთმანეთს 5 ივნისს ასტანაში გაეჯიბრებიან. ეს იქნება ყაზახთა ბოლო სპარინგი საქართველოს ნაკრებთან თამაშის წინ.

ყაზახეთის ნაკრების ბულგარელმა თავკაცმა აზერბაიჯანთან მომავალი დაპირისპირების წინ ადგილობრივ მედიასთან ისაუბრა, სადაც მეტოქის დახასიათებისას ჩვენთვის საინტერესო რამ თქვა – აზერბაიჯანის ნაკრები თამაშის სტილით ძალიან ჰგავს საქართველოს ნაკრებსო.

**სტანიმირ სტოილოვი:**

– მადლობა გადავუხადო აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციას დადებითი პასუხისთვის. ყაზახეთის ფეხბურთის ფედერაციას დიდი ძალისხმევა დასჭირდა იმისთვის, რომ უახლოესი შეხვედრა შინ ჩაგვეტარებინა. გვინდოდა ჩვენს სტადიონზე გვეთამაშა, რადგან უეფას ერთა ლიგაში პირველი მატჩიც შინ გვიწევს. ამხანაგურ მატჩში მეტოქედ აზერბაიჯანი შემთხვევით არ შეგვირჩევია – ეს გუნდი საქართველოს ნაკრების მსგავსად თამაშობს, რომელთანაც ერთა ლიგაში პირველი მატჩი გვიწევს. მეტოქე ჭკვიანურად უნდა შეარჩიო! აზერბაიჯანთან თამაში კარგი ტესტი იქნება: ეს გუნდი ბოლო დროს სწრაფად პროგრესირებს. თამაშობს კომბინაციურ და ტექნიკურ ფეხბურთს. თანაც, გუნდს გამოცდილი მწვრთნელი წვრთნის. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამ ქვეყნის საკლუბო ფეხბურთი ყველა პარამეტრით გაუმჯობესდა.

სტოილოვი ყაზახეთის ნაკრების მწვრთნელად ახლახან დაინიშნა, მაგრამ უკვე მოასწრო ორი ამხანაგური მატჩის ჩატარება: უნგრეთს 3:2 მოუგო, ბულგარეთთან კი 1:2 დამარცხდა.

შეგახსენებთ იმასაც, რომ ვლადიმირ ვაისის გაწვრთნილი საქართველოს ნაკრები ივნისში ავსტრიულ შეკრებაზე ორ ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს: 1 ივნისს მალტას ეთამაშება, 5-ში კი – ლუქსემბურგს.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## განძის მაძიებლებმა ვიკინგების მეფის განძს მიაგნეს



გერმანიაში იპოვეს განძი, რომელიც შესაძლოა მეფე ჰარალდ I ლურჯკბილამ, რომელიც დანიას X საუკუნის ბოლოს მართავდა, გადამალა.

დაახლოვებით სამი თვის წინ მოყვარული არქეოლოგი რენე შონი და მისი 13 წლის თანაშემწე ლუკა მალაშნიჩენკო სპეციალური ლითონის საძიებო მოწყობილობით კუნძულ რიუგენზე, რომელიც ბალტიის ზღვაში პომერანიის სანაპიროსთან მდებარეობს, მუშაობდნენ. ერთ-ერთმა მათგანმა მიწაზე რაღაც ბრჭყვიალა ნივთი შენიშნა. ნაპოვნი ალუმინის ფოლგას ჰგავდა, მაგრამ მათ გადაწყვიტეს, უფრო ახლოდან დაეთვალიერებინათ. აღმოჩნდა, რომ ის ვერცხლის ნივთი იყო.

აპრილის შუა რიცხვებში გათხრები ამ საქმის პროფესიონალებმა დაიწყეს. მათ განძის მაძიებლების მიერ მითითებულ ადგილზე დაახლოებით 600 მონეტა, მარგალიტი, მძივები, ბეჭდები, გულსაკიდები, და თორის უროს სახის მქონე ამულეტი აღმოაჩინეს. ეს ყველაფერი ათასზე მეტი წლის წინ იქნა გადამალული. არქეოლოგ მიქაელ შირენის შეფასებით, ეს უდიდესი განძია ლურჯკბილა ჰარალდის მონეტების, რომელიც სამხრეთ ბალტიისპირეთში იქნა ნაპოვნი.

ყველაზე ძველი მონეტები არის 714 წლის დირხამები, დამზადებული დამასკოში. ყველაზე ახლები კი 983 წლით თარიღდება. ეს ყოველივე კი შესაძლოა იმაზე მოწმობდეს, რომ განძეულობა 980-იანი წლების ბოლოს იქნა გადამალული, როდესაც ჰარალდი იძულებული გახდა პომერანიიდან გაქცეულიყო.

ჰარალდ I ლურჯკბილა 958 წელს გამეფდა. მან დაიპყრო ნორვეგია და თანამედროვე შვედეთის ნაწილი. მის დროს დანიამ ოფიციალურად მიიღო ქრისტიანობა.

## ამერიკელმა მასწავლებელმა აღიარა, რომ წერა-კითხვა არ იცოდა

ამერიკელმა მასწავლებელმა ჯონ კორკორანმა „ბი-ბი-სისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ისაუბრა იმაზე, თუ როგორ იმუშავა სკოლაში 17 წელი მასწავლებლად იმის მიუხედავად, რომ არც წერა იცოდა და არც კითხვა.

კორკორანი ნიუ-მექსიკოს შტატში 40-50-იან წლებში იზრდებოდა. მან აღიარა, რომ სკოლაში ყოველნაირად ცდილობდა კითხვა ესწავლა, მაგრამ ყოველ ჯერზე ის წიგნში „რაღაც ჩინურ იეროგლიფებს“ ხედავდა. ყოველ ჯერზე მის მშობლებს მასწავლებლები ეუბნებოდნენ, რომ მათი შვილი ნიჭიერი იყო და რომ სირთულეების დაძლევას შეძლებდა და ის მომდევნო კლასში გადაჰყავდათ.

ბავშვობაში კორკორანი ლოცულობდა და ღმერთს შესთხოვდა, რომ კითხვის სწავლაში დახმარებოდა. მეშვიდე კლასში ის მიხვდა, რომ უნდა ემეგობრა ისეთ თანაკლასელებთან, რომლებიც მის საშინაო დავალებას მის მაგივრად შეასრულებდნენ. გამოცდებზე ის სხვადასხვა ეშმაკობას მიმართავდა, მათ შორის ამოცანას წარჩინებულ მეგობრებს გადასცემდა და გამზადებულ ნამუშევარს აბარებდა.

კორკორანმა სკოლის და კოლეჯის დამთავრება შეძლო, რის შემდეგაც ის კადრების ნაკლებობის გამო მასწავლებლად სამუშაოდ მიიწვიეს. ის მუშაობდა მძლეოსნობის მწვრთნელად, სტუდენტებს მანქანაზე სწრაფად ბეჭდვას ასწავლიდა.



– დაფაზე არასოდეს არაფერი დამიწერია. ძირითადად, ჩვენ ბევრ ფილმს ვუყურებდით და ბევრს ვმსჯელობდით, – განაცხადა კორკორანმა.

პირველად თავისი საიდუმლო მან საკუთარ ცოლს გაუმხილა. მოგვიანებით კორკორანმა შეიტყო, რომ ის აშშ-ში ერთადერთი ადამიანი არ იყო, რომელსაც ცოდნა არ გააჩნდა. საბოლოოდ მან მონახა 65 წლის დამრიგებელი, რომელმაც მისთვის წერა-კითხვის სწავლა ითავა.

## ბრიტანელი წამლებმა გეიდ აქცია

ბრიტანეთის ლინკოლნშირის საგრაფოს ქალაქ ლაუტის მცხოვრებმა განაცხადა, რომ ის გეიდ ტკივილგამაყუჩებელმა წამლებმა აქცია, რომლებიც მას ფეხის მოტეხვის შემდეგ გამოუწერეს.



21 წლის ბრიტანელი სკოტ პერდი ვარაუდობს, რომ სქესობრივი ორიენტაციის შეცვლამდე ის წამლებმა მიიყვანეს. მისი თქმით, როდესაც მან პრეგაბალინის მიღება დაიწყო, მან თანდათან ინტერესი დაკარგა ქალების მიმართ, მაგრამ სამაგიეროდ მამაკაცებით დაინტერესდა. ამ ყოველივეს შედეგად ის დაშორდა მეგობარ გოგონას, რომელსაც ექვსი თვის მანძილზე ხვდებოდა.

– მაშინვე ვერ მივხვდი თუ რაში იყო საქმე, – განაცხადა პერდიმ, – მაგრამ საკმარისი იყო რამდენიმე კვირით შემეწყვიტა წამლების მიღება, რომ მამაკაცებით გატაცებამ გამიარა.

ის ამტკიცებს, რომ ადრე მას მამაკაცები არ იზიდავდა, თუმცა აღიარებს, რომ ერთსქესიანი ურთიერთობები მასში ცნობისმოყვარეობას იწვევდა.

ამ ყოველივეს მიუხედავად, პრედი არ აპირებს უარი თქვას პრეგაბალინის მიღებაზე. მან უკვე იპოვა გაცნობის ვებ-გვერდზე სხვა გეი და პაემანზეც შეუთანხმდა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ასტროპროგნოზი
## 19 აპრილისთვის



**ვერძი** – პროფესიულ საქმიანობაში შესამჩნევ წარმატებას აღწევთ. ფინანსურ სფეროში შეცდომას უშვებთ. **კურო** – ახალი ნაცნობობა კეთილისმყოფელი იქნება. სათანადო გამოცდილებას მიიღებთ. **ტყუპები** – დაბნეულობა და უყურადღებობა დაგაზარალებთ როგორც მატერიალურად, ისე სულიერად. კარგი იქნება სტუმრების მიღება, სამოგზაუროდ წასვლა. **კირჩხიბი** – გეგმები მოულოდნელად გეცვლებათ. თავი შეიკავეთ ნაჩქარევი მოქმედებებისაგან. **ლომი** – სასიცოცხლო პოტენციალი ძალზე მაღალია. ემოციურობა და იმპულსურობა დაუშვებელია. **ქალწული** – გელით სასიამოვნო სიურპრიზი. პროფესიული მიღწევები არ გაკმაყოფილებთ. **სასწორი** – დღეს შეგიძლიათ საოჯახო საქმეებს მიხედოთ, გაიმრავალფეროვნოთ გარდერობი, თუმცა ზომიერება უნდა დაიცვათ ფულის ხარჯვისას. **ღრიანკალი** – ნათესავებს თქვენი ყურადღება აკლიათ. შეძლებისდაგვარად დრო გამონახეთ მათ მოსანახულებლად. **მშვილდოსანი** – პიროვნული მომხიბვლელობა ზენიტშია, რაც მრავალი საქმის კეთილად დაგვირგვინების წინაპირობაა. **თხის რქა** – მოულოდნელი ახალი ნაცნობობა სასიამოვნოდ გაგაკვირვებთ. საქმიან პარტნიორს ბრმად ნუ ენდობით. **მერწყული** – ძველი, დავიწყებული კავშირების აღდგენა ზოგიერთი პრობლემის მოგვარებაში წაგადგებათ. გარშემომყოფები გენდობიან. **თევზები** – წონასწორობიდან იოლად გამოდიხართ, რაც შესაძლოა კოლეგებთან ურთიერთობის დაძაბვის მიზეზი გახდეს. ცივი გონება სწორი გადაწყვეტილების მისაღებად დღეს აუცილებელია.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ისრაელის კალათბურთელთა გუნდი; 2. ლუთერანული ეკლესია; 3. მწვანე ფერის ნაყოფის მქონე ციტრუსოვანი მცენარე; 4. ფულის გამოძალვა; 6. ნახევრად გამჭვირვალე ბამბის, წმინდა ქსოვილი; 9. საქართველოში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 11. სამეგრელოს უკანასკნელი მთავარი; 15. აჭარული ცეკვა; 16. ვაშლის ქართული ჯიში; 17. წითელი ფერის, მშრალი, ქართული სამარკო ღვინო; 19. სიბნელეში შემოსული სინათლის სხივი; 21. ზამბარიანი ხელის სასწორი; 22. იმრე კალმანის ოპერეტა.

**თარაზულად:** 5. ქალაქი კახეთში; 7. მთიანეთი აშშ-ში; 8. თვალის კაკლის გარეთა თეთრი გარსი; 10. ბეისბოლისტის ერთ-ერთი ამპლუა; 12. გადატანითი მნიშვნელობით ნახმარი სიტყვა; 13. ტროპიკული ხვიარა, მცოცავი მცენარე; 14. მრავალი ენის მცოდნე ადამიანი; 18. სამომსახურეო ჯიშის ძაღლი; 20. სამურაების მეთაური; 23. ბუნებრივი ნაკრძალი კახეთში; 24. კოლოს ძველი ქართული სახელწოდება; 25. დესერტი, ტკბილეული; 26. ჩინელ იმპერატორთა დინასტია; 27. მონასტერი დუშეთის რაიონში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. პერკუსია; 2. სლოგანი; 3. „პიეტა“; 4. მურმანი; 5. კატორღა; 10. ვესტერნი; 11. სერვანტესი; 12. ალიკაპი; 15. პომოლოგია; 16. „იბერია“; 17. სტატიკა; 20. ტოლმა.

**თარაზულად**: 6. მეგალომანია; 7. ფუტზალი; 8. ატაკამა; 9. ასტანა; 13. კაფე; 14. „ცერული“; 18. აკვალანგი; 19. ატაშე; 21. ზონდი; 22. ქაშერი; 23. სამთავისი; 24. ტრაქტატი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. ბულონი; 2. წირვა; 3. ხუანხე; 4. ვალაბი; 6. საპალნე; 9. ამება; 11. გლოსიტი; 15. რეზონანსი; 16. ჩითილი; 17. პუნქტირი; 19. აქსიომა; 21. „კაიზერი“; 22. შირაქი.

**თარაზულად**: 5. ჟურფიქსი; 7. აბატისა; 8. ალონსო; 10. სმეტანა; 12. ბჟუჟი; 13. კოლიე; 14. დობერმანი; 18. „ტოსკა“; 20. „ლიკუდი“; 23. ნიანგი; 24. იორი; 25. რულეტი; 26. „ქისი“; 27. არითმია.

# ლევან სონღულაშვილის გამოფენაზე ინსტალაცია დააზიანეს



ამერიკაში მოღვაწე ქართველი მხატვრის ლევან სონღულაშვილის გამოფენაზე ინსტალაცია დააზიანეს.

მხატვარმა თბილისში გამოფენა სახელწოდებით „სტიქსი“ მოაწყო და საგამოფენო სივრცის წინ ინსტალაცია შექმნა.

**ლევან სონღულაშვილი:**

– სამარცხვინო ფაქტი! გამოფენა „სტიქსის“ ფარგლებში, გალერეის წინ, ლანდშაფტში შეიქმნა ინსტალაცია – თეთრი ნავი წრიული ფორმის ორ აუზს შორის განთავსდა; აუზები თეთრი და შავი წყლით აივსო, ექსპოზიციის იდეიდან გამომდინარე.

ამ ხნის მანძილზე საზოგადოების ნაწილი წყალში უამრავ ნაგავს ყრიდა, მშობლები კი შვილებს ნავში ჩასხდომისკენ მოუწოდებდნენ, რაც საშიში იყო, ბავშვი აუზში შეიძლება ჩავარდნილიყო.

ცოტა ხნის წინ მთვრალი ბიჭები ნავს აყირავებდნენ, რასაც შევესწარი და ადგილზე დავაბრუნებინე. რამდენიმე დღეში ნავი დაზიანებული დამხვდა. დღეს კი, ეს მდგომარეობა.

# დემნა გვასალიამ ჟურნალისტებთან თავის ცხოვრებაზე ისაუბრა



ბალენციაგას ქართველმა შემოქმედებითმა ხელმძღვანელმა დემნა გვასალიამ გერმანელ ჟურნალისტებთან თავის შვეიცარიულ ცხოვრებაზე ისაუბრა.

დემნა თავის პარტნიორთან ერთად შვეიცარიაში ცხოვრობს და ახალ-ახალი კოლექციებით კვლავაც აგრძელებს მსოფლიოს გაოცებას.

***– ერთი წლის წინ ციურიხში გადახვედი, მოულოდნელი ნაბიჯია...***

– საუკეთესო გადაწყვეტილება იყო, რომელიც მიგვიღია. ყველაფერი შეიცვალა ჩემს ცხოვრებაში, ეს ჩემი ძმის გამო, ჩვენი გუნდი, ჩვენი სამუშაო. პირველად ბელგია ვიფიქრეთ, შემდეგ გერმანია, მაგრამ შვეიცარიაში ყოფნაზე ყოველთვის ვოცნებობდი.

***– შვეიცარიის მთებში ხშირად დადიხარ?***

– როდესაც კი დრო გამომიჩნდება, ყოველთვის ვსეირნობ, მიყვარს ბუნება, მდელო, ტყე, სადაც ვცხოვრობ ჩემს პარტნიორთან ერთად, ერთხელ ტერასიდან მელია დავინახე, მშვენიერი იყო.

***– ფუფუნებით ცხოვრობ?***

– მომწონს ლამაზი რაღაცების შეძენა, კარგ ადგილებში მოგზაურობა, ფული, რა თქმა უნდა, გამოსადეგია, მაგრამ სახლში კვლავ თავად ვიკეთებ საჭმელს და მანქანაც თავად დამყავს.

***– როგორ გამოიყურება შენი სახლი?***

– თანამედროვე დიზაინის არის, მაგრამ თან კლასიკური. სახლში ხშირად ვხუმრობთ, რომ მოხუცი ქალის გემოვნება გვაქვს. შაბათ-კვირას ფლი მარკეტზე გავდივარ, ძველ ტანსაცმელს და ფაიფურს ვყიდულობ.

***– ციურიხის ქუჩაში თუ გცნობენ?***

– თინეიჯერები ცნობენ ჩემს კედებს. ერთხელ მოვიდნენ და დაიწყეს ჩემს კედზე ლაპარაკი, მე ვუთხარი, რომ ბალენსიაგაში ვმუშაობ, შემდეგ კი, რა თქმა უნდა, მიცნეს.

# განახლებულ სამხატვრო აკადემიაში რეაბილიტაცია წლის ბოლოს დასრულდება



აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სამხატვრო აკადემიაში სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. გრიბოედოვის ქუჩაზე მდებარე შენობა კულტურის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ და განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ მარიამ ჯაშმა მოინახულეს.

ამ ეტაპისთვის დასრულდა კონსტრუქციული გამაგრება, დასრულდა შენობის გადახურვა, მოწესრიგდა დასავლეთი და ჩრდილოეთი ფასადები. მოხდა შენობის გადაგეგმარება, შენობა სრულად ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის. ამჟამად მიმდინარეობს აღმოსავლური დარბაზების რესტავრაცია-კონსერვაცია, ეზოსა და ეზოს ფასადის რეაბილიტაცია და კომუნიკაციების გაყვანა.

რეაბილიტაციის პროცესი კულტურის სამინისტრომ დააფინანსა. სარეაბილიტაციო სამუშაოები 2018 წლის ბოლოს დასრულდება

# გერგეტის სამებაში იატაკი აყრილია



საქართველოს ტურ-ოპერატორთა ასოციაციის თავმჯდომარე ია თაბაგარი ავრცელებს ინფორმაციას, რომ გერგეტის სამებაში იატაკი აყრილია.

**ია თაბაგარი:**

– მოგეხსენებათ გიდები და ტურიზმის დარგში მომუშავე ადამიანები ხშირად მოგზაურობენ საქართველოს კუთხეებში და შესაბამისად ფლობენ ინფორმაციას ძეგლებზე მიმდინარე სამუშაოების შესახებ.

დღეს ცნობილი გახდა, რომ გერგეტის სამებაზე აპირებენ იატაკის რეკონსტრუქციას, ასევე პროექტი შეტანილია სააგენტოში იატაკის გათბობის დასამონტაჟებლად! ჯერ არავინ იცის, დამტკიცდება თუ არა პროექტი, თუმცა იატაკის ნაწილი უკვე აყრილია!

ალავერდის მონასტრის ეზოში ახალი შენობა ააშენეს, ვანის ქვაბებში შუა საუკუნეების ქვევრებზე ტურისტები დარბიან, ჩანგრეულია დიდი ნაწილი. ყოველდღე გვესმის ძეგლების დაზიანების, ნგრევის, „რემონტის“ შესახებ.

ისე წაიშლება ისტორია, რომ 10 წლის შემდეგ ალბათ სათქმელიც აღარ დარჩება არაფერი. გთხოვთ გამოთქვათ აზრი, როგორ მოვიქცეთ, იქნებ კულტურის დაცვის საზოგადოება შევქმნათ? ან სტრატეგია? რამე უნდა ვიღონოთ სასწრაფოდ!

# ჩარგალში ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმს ეროვნული მნიშვნელობის კატეგორია მიენიჭა



დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩარგალში მდებარე ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმს პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის შესაბამისი ბრძანებით ეროვნული მნიშვნელობის კატეგორია განესაზღვრა.

სახლი ერთსართულიანი და ოროთახიანია. ნაგებია რიყისა და ნატეხი ქვით დუღაბზე. აქვს ერთფერდა, კრამიტის გადახურვა, რომელზეც ორი საკვამურია ამოყვანილი. სახლს წინა მხარეს, გრძივი ფასადის მთელ სიგრძეზე ხის სვეტებიანი გადახურული აივანი გასდევს, რომელიც გვერდებიდან გახსნილია.

სახლში შესასვლელი აივნიდანაა. ოთახებს ერთმანეთისგან ვიწრო ტალანი ყოფს, რომელთანაც ისინი კარით არიან დაკავშირებული. ოთახები აივნის მხრიდან დატანებული სარკმლებით ნათდება. ორივე ოთახში ბუხარია მოწყობილი. სახლის იატაკი აგურფენილია. შედარებით მცირე ზომის ოთახი ვაჟას მამის პავლეს აშენებულია. ამავე ოთახში დაიბადა ვაჟაც. აქვე იყო მისი სამუშაო ოთახიც.

მეორე, უფრო დიდი ზომის ოთახი კი ვაჟას დროსაა აშენებული და მისი ოჯახის წევრებისთვის იყო განკუთვნილი. სახლის ერთი ნაწილი ვაჟას მამის პავლეს აშენებულია, მეორე ნაწილი კი თავად ვაჟასი.

ეზოში დგას საბძელ-გომური, თორნე და წისქვილი.

# თბილისის მოდის კვირეულის პირველი დღე მედეა ჯაფარიძეს მიეძღვნება

თბილისის მოდის კვირეული ტრადიციას არც წელს დაარღვევს და პირველი დღე ქართული კინოსა და თეატრის ცნობილ მსახიობს, ულამაზეს მედეა ჯაფარიძეს მიეძღვნება.

TBILISI FASHION WEEK

თბილისის მოდის კვირეული 19 აპრილს მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ბაღში საზეიმოდ გაიხსნება. ბაღში საზეიმო მიღება გაიმართება და გაცოცხლდება კადრები ვახტანგ ტაბლიაშვილის ლეგენდარული ფილმიდან „ქეთო და კოტე“.

2018 წლის შემოდგომა-ზამთრის სეზონის კოლექციების ჩვენებებს, შოურუმს და სხვა ღონისძიებებს თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი უმასპინძლებს.

კვირეულის 4-დღიანი პროგრამა მოიცავს 20-მდე ღონისძიებას, მათ შორის ქართველი და უცხოელი დიზაინერების ჩვენებებს. მოდის მოყვარულები კიდევ უფრო მეტი ახალი და საინტერესო ხელოვანის შესახებ შეიტყობენ.

თბილისის მოდის კვირეულის ხელმძღვანელობამ საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, ნიჭიერ ხელოვანს მისცა შანსი, წარმდგარიყო მაყურებლის, პრესის და სფეროს პროფესიონალების წინაშე. ამისთვის თბილისის მოდის კვირეულმა განაცხადების ღია მიღება გამოაცხადა. კვირეულში მონაწილეობის სურვილის მქონე დიზაინერებს, ხელოვანებსა თუ არტისტებს სეზონური ჩარჩოების შემოდგომა/ზამთარი 2018-ის დაცვის შედეგად, თბილისის მოდის კვირეული შანსს აძლევს ნებისმიერ ნიჭიერ დიზაინერს. ყველა მათგანი, ვინც გაივლიდა კონკურსის პირველ, შესარჩევ ეტაპს და მზად იქნებოდა სრული კოლექციის შესაქმნელად, უნდა წარმოედგინა მინიმუმ 25 კოსტიუმი, შემოდგომა/ზამთარი 2018-ის სეზონისთვის.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კალეიდოსკოპი

### ორჯერ ლატარიაში გამარჯვებულმა ამერიკელმა საკუთარ იღბლიანობაზე ისაუბრა



ამერიკელმა მაიკლ ფორსბერგმა ლატარიაში მეორედ მოხსნა ჯეკპოტი და საკუთარი იღბლიანობა კარგი კარმით ახსნა.

კალიფორნიელმა განაცხადა, რომ მომგებიანი ლატარიის ბილეთის შეძენამდე, მან ექვსი დოლარი მისცა ადამიანს, რომელსაც იღბალმა ზურგი აქცია. მას შემდეგ, რაც ფორსბერგი მიხვდა, რომ 750 ათასი დოლარი მოიგო, ის მაღაზიაში დაბრუნდა და გამყიდველს სთხოვა, გადაემოწმებინა, შეცდომას ხომ არ ჰქონდა ადგილი.

– არ ვიცოდი, ბილეთი ნამდვილი იყო თუ არა, ეს ხუმრობა საქმე ხომ არ იყო, ან არა სწორად გავიგე თუ არა? – განმარტა იღბლიანმა ამერიკელმა.

ფორსბერგი მიიჩნევს, რომ ასეთი სახით აუნაზღაურდა ის ექვსი დოლარი, რომელიც კეთილ საქმეზე დახარჯა.

შვიდი წლის წინ მამაკაცმა ლატარიაში ათი ათასი დოლარი მოიგო. მან აღიარა, რომ მთელი ამ დროის მანძილზე სჯეროდა, რომ კიდევ ერთხელ გაუმართლებდა.

### კათოლიკე კარდინალმა ეშმაკეულის ტელეფონით განდევნა ისწავლა



კარდინალმა ერნესტ სიმონიმ აღიარა, რომ ეკზორციზმის სეანსებს მობილური ტელეფონის დახმარებით ატარებს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი სააგენტო ავრცელებს.

89 წლის ალაბამელმა კათოლიკე ღვთისმსახურმა განმარტა, რომ აუცილებლობის შემთხვევაში ტელეფონის ყურმილში ლათინურ ენაზე კითხულობს იმავე ლოცვებს, რომლებიც ჩვეულებრივ ეშმაკეულის განდევნას ემსახურება.

კარდინალმა ამის თაობაზე დამწყები ეკზორცისტებისთვის განკუთვნილ კურსებზე ისაუბრა, რომელიც ახლახან რომში გაიხსნა. მეცადინეობას დაახლოებით 200 ადამიანი ესწრებოდა, ბევრი მათგანი კათოლიკე ღვთისმსახურია.

ისინი მოისმენენ ლექციებს აფრიკელ ჯადოქრებზე, განსხვავებაზე ფსიქიკურ დაავადებებსა და შეპყრობილობას შორის და სხვა თემებზე. ასევე ისინი მიიღებენ ინსტრუქციებს ბოროტი სულების განსადევნად.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**19 აპრილისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.4292

ევრო — 3.0049

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4786

100 რუსული რუბლი — 3.9491

## ამინდის პროგნოზი 19 აპრილისთვის





**5 აპრილიდან**

150 ამბავი

**ნობელიანტი ფიზიკოსები**



**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

**3 აპრილიდან**

79 ამბავი

**ზვიად გამსახურდია**




**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**

**19 აპრილიდან**

120 ამბავი

**ალექსანდრე მაკედონელი**

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**





## იუმორი

პოლიციელი მანქანას აჩერებს და მძღოლს მიმართავს:

– თქვენი საბუთები თუ შეიძლება.

– მამაკაცი საბუთებს უწვდის.

– მგონი ნასვამი ხართ, აბა ამაში ჩაბერეთ?

– ჰოო, ყველაფერი ნორმალურადაა. და დაზღვევა გაქვთ?

– აი, ინებეთ.

– აფთიაქი თუ გაქვთ.

– აი ბატონო, აფთიაქი.

პოლიციელმა საბუთები დაუბრუნა და უკვე უნდა გაეშვა, რომ ამ დროს მანქანის ფანჯრიდან მძღოლის სიდედრმა თავი გამოყო და პოლიციელს ეუბნება:

– რაო, ჩაისვარე?

– ოოო, ეს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს შეურაცხყოფაა!

მძღოლი პოლიციელს ფურცელს აწვდის:

– აი ინებეთ, ფსიქიატრიული საავადმყოფოს ცნობა.

•••

ერთი გლეხი მეორეს ეუბნება:

– რა კარგი იქნებოდა, ჩემი ძროხა და ჟირაფი რომ შეჯვარებულიყვნენ.

– რატომ?

– ჩემთან მოიწველებოდა, მეზობელთან მოძოვდა.

•••

მამაკაცს ეკითხებიან:

– მართლა რუსეთიდან ხართ.

– დიახ.

– ამბობენ, თქვენთან გზებზე დათვები დადიანო და მართალია?

– ტყუილია, სად გვაქვს გზები.

•••

მასპინძელი სტუმარს თავის ბინას ათვალიერებინებს. სტუმარი ხედავს, კედელზე ტაშტია ჩამოკიდებული, იქვე კი თოკით ჩაქუჩი კიდია და მასპინძელს ეკითხება:

– ეს რა არის?

– მოლაპარაკე საათი.

– ეს რანაირი საათია, თანაც მოლაპარაკე?

– ახლავე ნახავ.

მასპინძელი ჩაქუჩს ტაშტს ურტყამს, კედლის მეორე მხრიდან კი მამაკაცის ხმა ისმის:

– ღამის ორი საათია, შენი დედა...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ნარკოდამოკიდებულებისგან განთავისუფლებულმა თხამ ახალი ცხოვრება დაიწყო

აშშ-ში თხა, რომელსაც ნარკოტიკების და ალკოჰოლის მიღებას აიძულებდნენ, ცხოველების თერაპიულ კურსებზე გააგზავნეს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ამერიკული ახალი ამბების პორტალი ავრცელებს.



პირველად ამ ცხოველის შესახებ ინფორმაცია 2018 წლის თებერვალში გავრცელდა, როდესაც მისი პატრონი სერხიო პალომარეს-გუსმანი, ჯორჯიის შტატიდან, იმის გამო დააპატიმრეს, რომ ის ცხოველს კოკაინით და ვისკით უმასპინძლდებოდა. შემდეგ ეს ყოველივე ვიდეოზე გადაიღო და სოციალურ ქსელებში გამოაქვეყნა.

ცხოველთა დამცველმა კაილა ჯონსმა ცხოველი თავის თავშესაფარში წაიყვანა და სახელად ვისკი დაარქვა. მისი თქმით, ის ისეთი გამხდარი იყო, რომ ნეკნებსაც კი დაუთვლიდით. ამასთან თავიდან თხა ადამიანებს ერიდებოდა და მოხალისეები ყველანაირად ცდილობდნენ მისთვის საკვები მიეცათ. დროთა განმავლობაში ის გამომჯობინდა, დაიწყო ხილისა და ბოსტნეულის ჭამა, ასევე უკვე ხალისით ურთიერთობს ადამიანებთან და ეჭვიანობს კიდეც, როდესაც ისინი ყურადღებას თავშესაფრის სხვა ბინადარ ცხოველებსაც აქცევენ.

## ნოვაკ ჯოკოვიჩს ისევ მარიან ვაიდა გაწვრთნის



ნოვაკ ჯოკოვიჩმა შეწყვიტა თანამშრომლობა ანდრე აგასისთან და თავის ძველ მწვრთნელს მარიან ვაიდას დაუბრუნდა. ვაიდასთან ერთად ჯოკოვიჩი იწყებდა კარიერას და დიდწილად მისი წყალობით შეძლო სერბმა ჩოგბურთელმა წარმატების მიღწევა.

– ძალიან მიხარია, რომ მარიანი ისევ ჩემი მწვრთნელი გახდა. მივხვდი, რომ მასთან ერთად მუშაობა ძალიან მომნატრებია და ჩვენ ერთად ისევ მივაღწევთ წარმატებებს. აგასი ჩემი მწვრთნელი აღარ არის, მაგრამ ჩვენი მეგობრობა გაგრძელდება, – განაცხადა ნოვაკ ჯოკოვიჩმა.

ჯოკოვიჩი ბოლო პერიოდში ცუდად თამაშობს და ის ამჟამად მსოფლიოს მე-14 ჩოგანია.

## სერხიო აგუერო მაისის ბოლომდე ვერ ითამაშებს



მანჩესტერ სიტის და არგენტინის ნაკრების ფორვარდმა სერხიო აგუერომ ტრავმა მიიღო და ის მაისის ბოლომდე ვერ შეძლებს თამაშს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საკლუბო სეზონი მისთვის დასრულებულია, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონატისთვის აგუერო მზად იქნება.

აგუეროს რამდენიმე ტრავმა ჰქონდა წლევანდელ სეზონში, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის მაინც შედეგიანი იყო და კარგი სეზონი ჰქონდა.

აგუერო არგენტინის ნაკრებისთვის მნიშვნელოვანი ფეხბურთელია, ამიტომ მისი ნაკრებში ყოფნა აუცილებელია მსოფლიოს ჩემპიონატზე.

## კარიმ ბენზემა: „ჩემი წარმატების შურთ“



მადრიდის რეალის ფორვარდს კარიმ ბენზემას ბოლო პერიოდში ხშირად აკრიტიკებენ, რაც ძირითადად იმით არის გამოწვეული, რომ ფრანგი ფორვარდი ბევრ მომენტს აფუჭებს. ბენზემამ კრიტიკოსებს უპასუხა და თქვა, რომ ის ასეთ კრიტიკას არ იმსახურებს:

– ძლიერ ფეხბურთელებს ყოველთვის აკრიტიკებენ, რადგან მათი წარმატების შურთ. მე გამონაკლისი არ ვარ და არ მიკვირს, როდესაც ჩემზე ნეგატიურ კონტექსტში საუბრობენ. რეალისთვის ბევრი გამიკეთებია და მომავალშიც გავაკეთებ.

ბენზემამ დაამატა, რომ რეალში ბედნიერია და არსად წასვლას არ აპირებს.

## ნეიმარი 17 მაისს დაბრუნდება



ბრაზილიის ნაკრების ლიდერი ნეიმარს სავარაუდოდ მაისის მეორე ნახევარში დაუბრუნდება. ნეიმარმა ერთ-ერთ ბრაზილიურ გამოცემას ინტერვიუ მისცა, სადაც თავის მდგომარეობაზე ისაუბრა:

– სავარაუდოდ, მაისის 17 რიცხვში უკვე მზად ვიქნები მოედანზე გამოსასვლელად, თუმცა არ მინდა ვიჩქარო და ამით ყველაფერი გავაფუჭო. როგორც ექიმები მეტყვიან, ისე ვიმოქმედებ.

ნეიმარმა ტრავმა თებერვლის ბოლოს მიიღო და მას შემდეგ ის ბრაზილიაში მკურნალობს.

## ზლატან იბრაჰიმოვიჩს მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში სურს



შვედმა ფეხბურთელმა ზლატან იბრაჰიმოვიჩმა, რომელიც ამჟამად ლოს ანჯელეს გალაქსის ღირსებას იცავს, განაცხადა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატი მის გარეშე ულიმლამო იქნება. ზლატანი რუსეთში წასვლას აპირებს, მაგრამ ითამაშებს თუ არა ის მსოფლიოს ჩემპიონატზე, ჯერჯერობით უცნობია.

– ზუსტად არ ვიცი, რა როგორ იქნება, მაგრამ რუსეთში წავალ, რადგან მსოფლიოს ჩემპიონატი ჩემ გარეშე ულიმლამო იქნება. მინდა, რომ ამ ტურნირის ნაწილი ვიყო, – განაცხადა ზლატან იბრაჰიმოვიჩმა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## პითონმა ავსტრალიელი გოგონა ისტერიკამდე მიიყვანა



ავსტრალიაში პითონი 12 წლის გოგონას საწოლში შეძვრა და ისე ძალიან შეაშინა, რომ ისტერიკამდე მიიყვანა.

ინციდენტი ქალაქ მაკაიში, კვინსლენდის შტატის აღმოსავლეთში მოხდა. ალეია მეჰერი დასაძინებლად გაემართა, მაგრამ როდესაც საბანი გადასწია, იქ რომბისებური პითონი დახვდა. გოგონამ ყვირილი მორთო და ოთახიდან გამოვარდა.

მშობლებს ბავშვის დაწყნარება არ უცდიათ, ვინაიდან ეს მათი გოგონას გველთან შეხვედრის პირველი შემთხვევა არ ყოფილა.

– ჩვენ რამდენიმე მსგავსი შემთხვევა გვქონდა, ასე რომ, მომხდარი ჩვენთვის რაიმე განსაკუთრებული მოვლენა არ ყოფილა. უბრალოდ, თავშესაქცევი და მოულოდნელი იყო საწოლში გველის ნახვა, – განმარტა გოგონას დედამ სენდი მეჰერმა. ის ქალიშვილის საწოლ ოთახში ავიდა, გველი დაიჭირა და მერე გარეთ გაუშვა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. მრავალადგილიანი სამგზავრო ავტომობილი; 2. სახელმწიფოს ერთპიროვნული მმართველი; 3. ძმები ჯაჭვლიანების მხატვრული ფილმი; 4. ამერიკული ავიაკოსმოსური კონცერნი; 5. უფოთლო, ეკლებიანი ღეროს მქონე ტროპიკული მცენარე; 10. შამპანურის მწარმოებელი უძველესი ფრანგული ფირმა; 11. მეცნიერება საზოგადოებრივი განვითარების ზოგადი კანონების შესახებ; 12. უმოტორო თვითმფრინავი; 15. ზოგიერთი მოლუსკის სხეულში წარმოქმნილი ძვირფასი თვალი; 16. ბელგიის ფეხბურთელთა გუნდი; 17. პირველი ამერიკელი კოსმონავტი; 20. პირველი გერმანული ოპერა.

**თარაზულად:** 6. ოქტომბრის თვის ქართული სახელწოდება; 7. გარემოში საორიენტაციო ხელსაწყო; 8. ამერიკული ფარმაცევტული ფირმა; 9. მატყლით ან ბუმბულით დატენილი მოგრძო, მრგვალი ბალიში; 13. ოპერა „კარმენის“ კომპოზიტორი; 14. ქართველი კინორეჟისორი, სცენარისტი, მწერალი; 18. საერთაშორისო კომპიუტერული საინფორმაციო ქსელი; 19. ალპინისტთა მეგზური, გამყოლი ჰიმალაებში; 21. შვედური მსუბუქი ავტომობილი; 22. სახელმწიფო ევროპაში; 23. რამდენიმე ბანკის ან კომპანიის გაერთიანება; 24. ფილატელისტის ალბომი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

